სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 10 სექტემბერი 2003 №170 (1941) | ფასი 50 თეთრი

„ბადრი კეთილაძის ფოტო"

ჟორდანიამ მოიფიქრა: შეტევა, შეტევა!

ეროვნული ნაკრების მწვრთნელს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას წუხელ გვიან დავუკავშირდით ტირანაში — ჩვენს უპირველეს გუნდს კვლავაც აქვს პორტუგალიაში მოხვედრის შანსი და იმედიც არ ჩამქრალა — ჟორდანიას პირველ რიგში მოტივაციის თაობაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

— როგორი განწყობაა გუნდში? — საქართველოს ნაკრები საკმარისად მოტივირებულია ამ თამაშისთვის?

— განწყობა ნორმალურია, გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. ჯერ კიდევ ალბანეთთან თბილისური მატჩის წინ მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ სანამ სულ მცირე შანსი მაინც შეგვრჩენია, მას ციკლის ბოლო თამაშამდე გამოვიყენებთ. ჰოდა, განწყობა ახლაც ასეთია — ამის შესახებ კიდევ ერთხელ ლაპარაკი არც დაგვჭირვებია — ფეხბურთელები ძალიან სერიოზულად ეკიდებიან საქმეს. მოკლედ, მოტივაციის მხრივ არანაირი პრობლემა არ არსებობს. ვგრძნობ, რომ გუნდში სწორედ ისეთი განწყობაა, როგორიც გამარჯვების მისაღწევადაა საჭირო.

— ჩვენს ნაკრებს ტრავმები მოუხშირდა-- დემეტრაძის გარდა მცირე ტრავმა ზურაბ ხიზანიშვილსაც ჰქონია...

— დემეტრაძის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა, მაგრამ შესაძლოა ისე მოხდეს, რომ ამ მატჩში მაინც გამოვიყენოთ. ხიზანიშვილს მცირე ტრავმა კი აწუხებს, მაგრამ მას ახლახან ველაპარაკე — ტრავმა ამდენად სერიოზული არ არის, რომ ვერ ითამაშოს.

— 6 სექტემბრის მატჩისგან განსხვავებით, ჩვენი გუნდის შემადგენლობაში საგრძნობი ცვლილებები ალბათ მოსალოდნელი არ არის.

— ალბათ, ასე იქნება. თუმც დილით მსუბუქ ვარჯიშს ჩავატარებთ და კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება ყველაფერი. მაგრამ სერიოზული ცვლილებები არ იქნება. თუ რამეს შევცვლით, მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკურად — გამარჯვებას რაც სჭირდება, ისე ვიმოქმედებთ. 6 სექტემბერს საკმაოდ შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ, მაგრამ შეტევას, ალბათ, კიდევ უფრო გავაძლიერებთ.

დავით თავართქილაძე

თბილისის დინამოს ალბანეთის ნაკრებში სულეიმან მემა მიჰყავს. მან და ჟორდანიამ ბრიგელი გაჭყლიტეს



„ბადრი კეთილაძის ფოტო"



„ფოტო ალექსანდრე ბოჭორიშვილის"

შანსია, ჰანს-პეტერ ბრიგელი თბილისის „დინამოს" მძლეველმა სულეიმან მემამ შეცვალოს

3:1 ანუ 0:3

ქართულ-ალბანური ალავერდი ახალგაზრდულად

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. X ჯგუფი

F.S.H.F. ალბანეთი 3:0 საქართველო

1:0 მუზაკა (6), 2:0, 3:0 ჩიპანი (49, 85)

საქართველო: მამალაძე, ორბელაძე, ციმაკურიძე, ინწკირველი, ამისულაშვილი (ქოქიაშვილი), გამზარდაშვილი, სირაძე (მანწკავა), მარცვალაძე (ახალკაცი), ახალაია, დეკანოსიძე, ბობოხიძე

სათადარიგონი: ი. ბალაძე, კანდელაკი, ბერიანიძე, კაკალაძე

მწვრთნელი: რევაზ არველაძე

არველაძე: არ ველოდი



რევაზ არველაძე

წუხელ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ტირანისგან ორმოციოდე კილომეტრის მოშორებით, „ნიკო დოვანაზე" ალბანელ თანატოლებთან ვერაფერს გახდა. მასპინძლებმა ყველანაირად დაჩაგრეს ჩვენებურები და სამი დღის წინანდელი ბოლნისური მარცხისთვის 3:0-ით იძიეს შური. ჰასან ლიკას ბიჭები სამშობლოში სულაც არ ჰგავდნენ „თემურ სტეფანიაზე" თავმოჭრილი ბატებივით მოფაფხურე ვითომ არწივებს. მათ თავიდანვე ჯიქურ გაიწიეს მამალაძის კარისკენ და უკვე მე-6 წუთიდან დაიწყეს მისი დაბომბვა. ერთი სიტყვით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დიდი ანგარიშით დამარცხდა და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე განისვენებს.

გუშინ ალბანეთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაც რევაზ არველაძეს დავუკავშირდით. აშკარად უხასიათოდ მყოფი არველაძე რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემას მაინც თავაზიანად დაგვთანხმდა...

— ორიოდ სიტყვით რას იტყვით მატჩზე?

— რაღა ვთქვა. გუნდი რომ 0:3 წააგებს, მგონი, არაფერი მაქვს სათქმელი. არ ვიცი... ზუსტად ახლაც ვერ ვხვდები, რა მოხდა.

— ასე უიმედოდ დამარცხდით?

— თავიდანვე ისე აეწყო ყველაფერი, რომ... მალევე გავუშვით გოლი. მერე ეროვნული ნაკრების ინტერესების გამო სირაძე და ამისულაშვილიც მალევე შეეცვალეთ. ისინი შესაძლოა ეროვნულ გუნდს დასჭირდნენ. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა აშკარად გვაჯობეს.

— ბოლნისში მათ იოლად მოუგეთ. ელოდით მეტოქის ასეთ მკვეთრ ცვლილებას?

— ეს უფრო ჩვენზე მეთქმის. საერთოდ ვერაფერი გავაკეთეთ. რატომღაც ბიჭებს არაფრის თავი არ ჰქონდათ. სხვა რა ვთქვა?! შემადგენლობაც იგივე იყო, მხოლოდ ერთი-ორი გადაადგილება მოვახდინეთ. არ ვიცი, რა მოხდა. ახლა ვერც ვერაფერს ვაბრალებ.

ძახა შალამბერიძე

შვეიცარია	7	6	1	0	12:4	19
რუსეთი	7	4	0	3	11:6	12
ალბანეთი	8	3	1	4	10:10	10
ირლანდია	7	1	2	4	6:11	5
საქართველო	7	1	2	4	5:13	5

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

F.S.H.F. ალბანეთი — საქართველო

ტირანა. ქემალ სტაფა. 10 სექტემბერი. 23 საათი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ „ქემალ სტაფაზე" ივარჯიშა. სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, გუნდმა დილით მოითავა წვრთნა, შუადღეს თეორიულ მეცადინეობას შეუდგა და დანარჩენი დღე ძალების აღდგენას მოანდომა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, დღეს ვერ ითამაშებს გიორგი დემეტრაძე. მან ვერც გუშინ ივარჯიშა გუნდთან ერთად — ფეხი კვლავაც აწუხებს.

წუხელ კი ტირანაში მიხეილ აშვეთიას შევეხმიანეთ.

ნაილეთ გოლი, მომეცით მოგება

მიხეილ აშვეთია (№8) ალბანელებს ტირანაშიც ვმუქრება

აშკარად დაულანდავებელს ფოტო

— ხვალინდელი მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ასეთი შანსი ნაკრებს, მგონი, არც ჰქონია და საქმის შუა გზაზე მიტოვება სისულელე იქნება. ამიტომ წარმატების მისაღწევად არაფერს დავიშურებთ.

— ალბანეთში თამაში ქართველებისთვის ლამის ბედისწერად იქცა...

— ამისი არ გვეშინია. ვიცი, რომ აქ თამაში ძნელია, ჩვენ კი არა, ძლიერ ნაკრებებსაც უჭირთ ტირანაში წარმატების მიღწევა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. უნდა მოვიგოთ. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა.

— ახალგაზრდული ნაკრების მარცხმა ხასიათი ხომ არ წაგიხდინათ?

— ცხადია, სასიამოვნო ამბავი არ იყო, მაგრამ მომხდარზე წუწუნი აღარ ღირს. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს და მთლიანად ალბანეთთან მატჩზე ვფიქრობთ.

— როგორც ვიცით, ამინდმა ხელი არ შეგიწყოთ...

— გუშინდელი წვიმის მერე ამ მხრივ აღარაფერს ვუჩივით. დღეს გადაიღო, საღამოს კი გრილა. ასე რომ, რვა საათზე თამაში არ უნდა გაგვიჭირდეს.

— თავად ალბანელები როგორ ემზადებიან საამმატჩოდ? როგორი განწყობაა ტირანაში?

— რაიმე განსაკუთრებული არაფერი ხდება. როგორც ვიცი, ბილეთები არ დარჩა.

— ესე იგი, სტადიონი გაივსება?

— ჰო, მაგრამ „ქემალ სტაფა" დიდი სტადიონი არაა. 18-20 ათასი მაყურებელი ეტევა. ეგ არ არის პრობლემა. ბოლომდე თუ ვიბრძოლებთ, ვფიქრობ, აქ მოგება შეგვიძლია. მთავარია, უკან არ დავიხიოთ.

— ვინმეს ტრავმა ხომ არ აწუხებს?

— დემეტრაძის გარდა ყველა ჯანზეა, თუმც, მგონი, დემეც შეძლებს თამაშს.

— ფავორიტად ვის მიიჩნევ?

— არ ვიცი. ეს ჩემი საქმე არ არის. მთავარია, მოვიგოთ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ტირანაშიც გავიტანო, მაგრამ — ოღონდ მოვიგოთ და ამაზე წამსვე უარს ვიტყვი.

ძახა შალამბერიძე

ბოლო ლუკმა ხალხისთვის მუქთაა
ბრიგელის მინდა, მინდა, მინდა...

რა ხდება ალბანელთა ბანაკში? ტირანაში ამბობენ, მატჩზე დასწრება უფასო იქნებაო — ინფორმაციამ ქართულ დელეგაციამდეც მიაღწია — ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივრებს ასეთ საჩუქარს უმზადებს და თან ოცდათასიან „ქემალ სტეფას" გავსებაზეც ზრუნავსო.

გუშინ ალბანეთის ნაკრების მწვრთნელმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა პრესკონფერენცია გამართა. ალბანეთის ყველაზე პოპულარული სპორტული გაზეთის, „ექსპრეს სპორტის" მთავარმა რედაქტორმა ფატმირ მენერიმ გულისხმიერება გამოიჩინა და ტელეფონით მოკლედ მოგვიხაზა პრესკონფერენციო პერიპეტიები. ბრიგელს უთქვამს, ერვინ შეკლა აღარ მჭირდებაო და ეს ალბანელი ნახევარმცველი დღეს უკვე ფრანკფურტშია თავის კლუბ „აინტრახტთან" ერთად. გერმანელმა მწვრთნელმა ნაკრებში უხმო ვეტერან ფორვარდ ერვინ რაკლის. როგორც მენერიმ გვითხრა, თავდასხმაში სავარაუდოდ რაკლი და იგლი ტარე ითამაშებენ. ბრიგელს დაუჩივლია, გუნდში კვლავაც ტრავმიანობაა და ზოგიერთი ფეხბურთელის მინდორზე გასვლა საეჭვოაო. პრესკონფერენციას ლაიტმოტივად სდევდა ბრიგელის ორსიტყვიანი ფრაზა — მინდა მოვიგო. ალბანეთისთვის ეს ბოლო თამაშია ამ შესარჩევში, მაგრამ საქმე მხოლოდ ეს როდია. ფატმირ მენერის თქმით, ბრიგელისთვის ჯერ კიდევ თბილისის აეროპორტში უთქვამთ, ოქტომბერში დამთავრებულ კონტრაქტს ალბათ ვერ გაგიგრძელებთო — ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალურად ეს ჯერ არ განუცხადებია. თუმც მენერი დასძენს, ფედერაციამ ნაკრების გაძღოლა უკვე შესთავაზა სულეიმან მემას — მწვრთნელს, რომლის „ტირანამ" ივო შუშაკის „დინამო" გამოთიშა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპიდან. ერთი სიტყვით, დღევანდელი ალბანეთ — საქართველო ბრიგელისთვის ბოლო ალბანურია და გერმანელსაც ღირსეულად წასვლა ცხოვლად სურს.

ერვინ შეკლა ბრიგელმა ნაკრებიდან დაითხოვა

დავით თავართქილაძე

მეგრეთის ახალგაზრდული ჩემპიონატი
მესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი
ისრაელი 3:0 მალტა
სლოვენია 0:0 საფრანგეთი

II ჯგუფი
დანია 0:0 რუმინეთი
ლუქსემბურგი 0:1 ბოსნია

III ჯგუფი
ჩეხეთი 1:2 ჰოლანდია

IV ჯგუფი
პოლონეთი 1:1 შვედეთი
ლატვია 2:0 უნგრეთი

V ჯგუფი
გერმანია 0:1 შოტლანდია

VI ჯგუფი
ესპანეთი 2:0 უკრაინა
ჩრდ. ირლანდია 3:1 სომხეთი

VII ჯგუფი
ინგლისი 1:2 პორტუგალია

VIII ჯგუფი
ბელგია 0:2 ხორვატია

IX ჯგუფი
უელსი 0:0 ფინეთი
სერბეთი 1:0 იტალია

X ჯგუფი
რუსეთი 1:2 შვეიცარია

ავსტრია

I დივიზიონი IX ტური
ლუსტენაუ 1:2 უნტერზიბენბრუნი
კაფენბერგი 1:2 რიდი
ლინცერი 2:4 აუსტრია (ლ)
ტიროლი 0:1 ლეობენი
ბლაიბერგი 2:2 ვიორგლი

რუსეთი

ლიგის თასის ფინალი. პირველი მატჩი
ზენიტი 3:0 ჩერნომორეცი

ამსანაგური მატჩები
ირლანდია 2:2 თურქეთი

საქართველოს პირველი ლიგა 15 ჩემპიონი

4 ტური

ცხინვალი 3:0 გორდა

ქობულეთი 4:0 ჩიხურა

ლოკომოტივი 2 1:0 ვიტ ჯორჯია-მცხ.

თსუ	4	3	1	0	8:2	10
ოლიმპი	4	3	1	0	7:4	10
ქობულეთი	4	3	0	1	8:3	9
გორდა	4	3	0	1	8:6	9
სამგურალი	4	2	2	0	5:2	8
ცხინვალი	3	2	1	0	5:1	7
დინამო 2	4	2	0	2	8:7	6
გურია	4	2	0	2	4:4	6
ლუკა	4	2	0	2	3:4	6
ვიტ ჯორჯია-მცხ.	4	1	1	2	2:3	4
მილანი	4	1	1	2	2:3	4
ივერია	3	1	1	1	3:5	4
ლოკომოტივი 2	4	1	0	3	2:5	3
ამერი	2	0	0	2	0:4	0
მეტალურგი	4	0	0	4	2:7	0
ჩიხურა	4	0	0	4	1:8	0

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის
ეროვნული სტადიონი
პირველი ლიგა
დღეს
პირველი ტურის გადადებული მატჩი

ამერი — ივერია
თბილისი ხაშური

დასაწყისი 17 საათზე
დასწრება უფასოა

ფეხბურთით გაზრდილი კაცი

ნოდარ ახალკაცი: სამართალი გერმანიაში, ამერი საქართველოში



ბაბილო ჯიმშელაძის ფოტო

სამი დღის წინ იმ სახლის კედელზე, რომელშიც ნოდარ ახალკაცი ცხოვრობდა, მისი მემორიალური დაფა გაიხსნა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს გამარჯვებათა მთავარი შემოქმედის სახელი ხალხის ხსოვნას სამუდამოდ შემორჩება და გარდაცვალებიდან 5 წლის მერე მემორიალური დაფის გახსნა ამ ხსოვნის დასტურია.

ძველ ქომაგს, ნოდარ ახალკაცის დიდი „დინამოს" მატჩებს რომ არ აცდენდა, სტადიონზე გუნდის შორიახლოს მოტრიალე პატარა ბიჭიც ახსოვს, რომელშიც შეუცდომლად ამოიცნობდა ნოდარ ახალკაცის შვილს, უმცროს ნოდარს.

მას მერე დიდი დრო გავიდა. უმცროსი ნოდარ ახალკაცი დღეს გერმანიაში ცხოვრობს და იურისტის ხელობას ეუფლება.

მშობლიური სახლის კედელზე მამის მემორიალური დაფის გახსნისთვის ის თბილისში ჩამოვიდა და მასთან გასაუბრების შანსიც ხელიდან არ გაგვიშვია.

— ბატონი ნოდარის გარდაცვალებიდან 5 წელი გავიდა, მემორიალური დაფა კი მხოლოდ ახლა გაიხსნა...

— დრო ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ ეს გაკეთდა. მინდა, მადლობა გადავუხადო მერაბ ჯორდანიას და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ქართულ ფეხბურთში მამაჩემის დამსახურება ამ სიმბოლური ჟესტით გამოხატეს. ჩვენი ოჯახისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა.

— მეშვიდე წელია, გერმანიაში ცხოვრობთ...

— გერმანიაში 1996 წელს სასწავლებლად გავემგზავრე. შარშან ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე. ეს უნივერსიტეტი გერმანიაში უძველესია და საუკეთესო განათლებას იძლევა. პირველი სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების მერე სწავლის მეორე ეტაპზე გადავედი, რომელიც ორ წელიწადს გრძელდება და გაისად ნოემბერში დავასრულებ.

— საკმაოდ რთული სისტემა ყოფილა...

— დიახ, დღეისთვის სტუდენტსა და პროფესიონალ იურისტს შორის რაღაც შუალედური სტატუსი მაქვს. მეორე ეტაპზე მოსამართლის, პროკურორის და ადვოკატის თანაშემწედ ვმუშაობ. გაისად კი მეორე სახელმწიფო გამოცდასაც ჩავაბარებ და ნებისმიერი განხრით დამოუკიდებლად მუშაობის უფლება მექნება.

— თქვენ რომელი სპეციალობით აპირებთ მუშაობას?

— სამოქალაქო სამართალი ყველაზე მეტად მაინტერესებს.

— სწავლის დასრულების მერე გერმანიაში დარჩებით თუ საქართველოში ჩამოხვალთ?

— გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. უამრავი ფაქტორია გასათვალისწინებელი. გერმანიაში რომელიმე ფირმამ რომც შემოგთავაზოს სამსახური, ეს მუშაობის უფლების მიღებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. ამასთანავე, ვაკანსიაზე უპირატესობა გერმანიის მოქალაქეს ენიჭება, მერე ევროკავშირელს, ბოლოში კი დანარჩენი ქვეყნების მოქალაქეებს აყენებენ.

— სწავლის პარალელურად თქვენ ფეხბურთის კლუბ „ამერშიც" მუშაობთ...

— გერმანიაში წასვლის მერე პირველი, ვისგანაც სამსახურის შემოთავაზება მივიღე, „ამერის" ხელმძღვანელობა იყო. ცხადია, მესიამოვნა, მაგრამ წინადადებაზე დათანხმების მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ კლუბის პრეზიდენტ ბატონ ზურაბ ფოცხვერიას უდიდეს პატივს ვცემ და მისი საქმისადმი დამოკიდებულებაც იმგვარია, როგორიც მამაჩემს ჰქონდა.

— ნოდარ ახალკაცს არ უნდა ეკითხებოდე, ფეხბურთის კლუბში როგორ მოხვდიო, მაგრამ მაინც...

— ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. მე ფეხბურთით გავიზარდე. მთელი ბავშვობა „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე და ეროვნულ სტადიონზე გავატარე. „ამერში" მოსვლის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ისიც იყო, რომ გუნდის მწვრთნელი ჩემი უახლოესი მეგობარი გაიოზ დარსაძეა.

— გაიოზ დარსაძე ბატონ ნოდარს მუდამ მასწავლებლად მოიხსენიებს. მათი ურთიერთობა როგორ დაიწყო?

— ალბათ, სჯობს, ამაზე თავად გაიოზს ჰკითხოთ.

— მაშინ ის მითხარით, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ?

— მამაშვილური.

— „ამერში" საერთაშორისო ურთიერთობათა მენეჯერად მუშაობთ. რამდენად შეესაბამება ეს თანამდებობა თქვენს განათლებას?

— სასწავლებლად წასვლამდე ორი წელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილებაში ვიმუშავე. იმ პერიოდში ნაკრების ყველა გასვლითი მატჩის ორგანიზაციული მხარე ჩემი და დავით პეტრიაშვილის მოგვარებულია. ამიტომ ვთვლი, რომ „ამერში" ის მევალება, რაშიც საკმაო გამოცდილება მაქვს.

— გუნდი ახლახან დაბრუნდა გერმანული შეკრებიდან და ძალიან კმაყოფილიც იყო. ეს ალბათ თქვენი დამსახურებაა...

— მხოლოდ ჩემი არა, კლუბის ყველა წევრმა კარგად იმუშავა. პირადად მე კი შეეცადე, „ამერისთვის" ისეთივე პირობები შემექმნა, როგორსაც ფედერაციაში მუშაობისას საქართველოს ნაკრებს ვუქმნიდი.

— ნაკრები ვახსენეთ. მისი თამაშით კმაყოფილი ხართ?

— ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა ჩემი მეგობარია. როგორც გულშემატკივარს მათი ყოველი გამარჯვება უდიდეს სიხარულს მანიჭებს. თუმცა, სამწუხაროდ, ნაკრები ისე ხშირად ვერ იგებს, როგორც ქომაგებს გვინდა. ერთში კი დარწმუნებული ვარ — ფეხბურთელები ყოველ მატჩში მოედანზე თავს დებენ.

— როგორ ფიქრობთ, ქართული ფეხბურთი იმ გზით მიდის, ბატონ ნოდარს როგორც სურდა და წარმოედგინა?

— ჩვენი კლუბები და ნაკრები მხოლოდ ცალკეულ ძალისხმევებს იჩენენ, მნიშვნელოვანი წარმატებები კი არ ჩანს. ეს სამწუხაროა, მაგრამ მიზეზების დასახელება არ შემიძლია. უბრალოდ, რაც უცხოეთში ვცხოვრობ, სრული ინფორმაცია არ მაქვს. ამის გარეშე კი დასკვნების გაკეთების უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ. არ ვიცი, პრობლემები რა მიზეზების გამოა გადაუჭრელი.

— კლუბს დავუბრუნდეთ. „ამერმა" ჩემპიონატში პირველი ორი თამაში წააგო...

— თუ გუნდის პოტენციალის მიხედვით ვიმსჯელებთ, შედეგი არ ასახავს შესაძლებლობებს. უბრალოდ, შეუძლებელია, ახალშექმნილმა გუნდმა დაუყოვნებლივ მიაღწიოს წარმატებას. ამისთვის დროა საჭირო. გაიხსენეთ, დიდ ევროპულ გუნდებსაც კი, რომლებიც სეზონის წინ თითო-ოროლა ახალ ფეხბურთელს იმატებენ, შესათამაშებლად დრო სჭირდებათ. ჰოდა, რაღა ვთქვათ გუნდზე, რომელმაც ერთი-ორი ფეხბურთელი კი არ დაიმატა, ახალი შექმნილია?! მთავარია, რომ „ამერში" სამომავლო პოტენციალი არსებობს და ხელმძღვანელობაც სწორი გზით მიდის. შედეგს კი დრო აუცილებლად მოიტანს.

გიორგი დარჯანია





ტრავმირებული ლევან სილაგაძე (მარჯვნივ) „რუბინს" გადამწყვეტ მატჩებში დააკლდება

ვილაპარაკოთ გაწყვეტილ კუნთზე

დაწყვეტილ გულზე სილაგაძე არ ლაპარაკობს

ყაზანის „რუბინის" ქართველი მცველი ლევან სილაგაძე რამდენიმე დღეა, საქართველოშია. ჩვენებურის სამშობლოში ყოფნა ჯარგი მიზეზით არ არის გამოწვეული – ის გაწყვეტილ ჯუნთს მკურნალობს. ამასობაში რუსულ პრემიერლიგაში სანაკრებო თამაშების გამო მცირე შესვენებაა, მაგრამ ლევანს ყაზანში დაბრუნებამდე რამდენიმე ტური მაინც გაუცდება. რუსული ფეხბურთის წლევანდელი აღმოჩენა ევროტურნირებზე მოსახვედრად გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადება.

გუშინ ლევან სილაგაძეს შევხმიანეთ და მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ...

— კუნთი საკმაოდ დიდზე მაქვს გაწყვეტილი. რა ვიცი, ექიმები მაიმედებენ, მალე გამოჯანმრთელდებიო.

— მაინც რამდენი ხანი დასჭირდება კუნთის აღდგენას?

— ორიდან ოთხ კვირამდე. გააჩნია, ორგანიზმზეც ბევრია დამოკიდებული. ჯერჯერობით კურსი ნორმალურად მიდის.

— თამაშის დროს დაშავდი?

— ჰო, „ტორპედოსთან" „ლუჟნიკის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე ფეხი დამიცურდა და შესაცვლელი გავხდი.

— საქართველოში რატომ მკურნალობ?

— „რუბინის" ხელმძღვანელობას ვთხოვე და ნება დამრთეს, აქ მომერჩინა ტრავმა. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემა არ არის. სრულ კურსს გავივლი და ყაზანშიც დავბრუნდები.

— „რუბინს" ახლა რთული მატჩები ელის და ცუდ დროს დააკლდები...

— ასე გამოვიდა, მაგრამ რას ვიზამ. ათიოდ დღეში, ალბათ, მეც ფეხზე დავდგები და გუნდს შევუერთდები.

— თბილისში ყოფნისას საქართველო — ალბანეთის მატჩსაც ნახავდი...

— რა თქმა უნდა, ვნახე.

— მერე გული არ დაგწყდა?

— რაზე? ხომ მოვიგეთ?

— კი, მაგრამ ნაკრების ყოფილი წევრი ხარ. ახლა კი შენი გვარი იქ არ ჩანს...

— მე ძალიან გამიხარდა, რომ ბიჭებმა ალბანეთს მოუგეს. დანარჩენი უკვე პირადულია. იმ დროს რას ვგრძნობდი, ეს შესაძლოა, ბევრისთვის საინტერესო არც არის. ჯერ დაკარგული არაფერია. იმედი კიდევ არის.

ძახა შალამბერიძე

საქართველოს ეროვნული გუნდი

№	თარიღი	ს	რ	მეტოქე	ანგ	მეგოლეები
1	02/09/92	ს	ᲐᲛ	ᲚᲘᲗᲕᲐ	0:1	
2	17/09/92	შ	ᲐᲛ	ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ	6:3	ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
3	22/12/92	ს	ᲐᲛ	ᲙᲕᲘᲠᲝᲡᲘ	0:1	
4	25/05/93	ს	ᲐᲛ	ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ	0:1	
5	08/02/94	ნ	ᲡᲢ	ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ	0:1	
6	10/02/94	ს	ᲡᲢ	ᲛᲐᲚᲢᲐ	1:0	ქეცბაია
7	12/02/94	ნ	ᲡᲢ	ᲢᲣᲜᲘᲡᲘ	2:0	ყაველაშვილი, ჟუდინოვი
8	23/02/94	ს	ᲐᲛ	ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ	0:2	
9	11/06/94	ს	ᲐᲛ	ᲜᲘᲖᲔᲠᲘᲐ	1:5	რ. არველაძე
10	26/06/94	ს	ᲐᲛ	ᲚᲘᲗᲕᲐ	3:1	დ. ჯანაშია, ჯაჭარავა, ჯამარაული
11	19/07/94	შ	ᲐᲛ	ᲛᲐᲚᲢᲐ	1:1	შ. არველაძე
12	07/09/94	შ	ᲔᲠ	ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ	0:1	
13	12/10/94	ს	ᲔᲠ	ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ	0:2	
14	16/11/94	შ	ᲔᲠ	ᲣᲔᲚᲡᲘ	5:0	ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
15	14/12/94	ს	ᲔᲠ	ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ	1:0	შ. არველაძე
16	29/03/95	შ	ᲔᲠ	ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	0:2	
17	26/04/95	შ	ᲔᲠ	ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ	2:0	შ. არველაძე, ქეცბაია
18	07/06/95	ს	ᲔᲠ	ᲣᲔᲚᲡᲘ	1:0	ქინქლაძე
19	06/09/95	ს	ᲔᲠ	ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	1:4	ქეცბაია
20	11/10/95	შ	ᲔᲠ	ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ	2:1	შ. არველაძე, ქინქლაძე
21	15/11/95	ს	ᲔᲠ	ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ	2:3	დ. ჯანაშია, ჯულიბაბა (ს.ჯ.)
22	27/03/96	ს	ᲐᲛ	ᲙᲕᲘᲠᲝᲡᲘ	2:0	ქეცბაია, ჯამარაული
23	24/04/96	ს	ᲐᲛ	ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	0:5	
24	08/05/96	ს	ᲐᲛ	ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ	1:2	გოგრიჭიანი
25	01/09/96	ს	ᲐᲛ	ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ	0:1	
26	09/10/96	ს	ᲛᲠ	ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	0:1	
27	09/11/96	შ	ᲛᲠ	ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ	0:2	
28	05/12/96	ს	ᲐᲛ	ᲚᲘᲒᲐᲜᲘ	2:4	იაშვილი, ჯიჯნაძე
29	08/12/96	ს	ᲐᲛ	ᲚᲘᲒᲐᲜᲘ	2:3	გახოიძე, ცქიტიშვილი
30	30/03/97	შ	ᲐᲛ	ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ	7:0	შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი
31	30/04/97	ს	ᲛᲠ	ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ	0:2	
32	07/06/97	შ	ᲛᲠ	ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ	2:0	შ. არველაძე, ქინქლაძე
33	14/06/97	ს	ᲛᲠ	ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ	1:4	შ. არველაძე
34	10/09/97	შ	ᲛᲠ	ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	0:0	
35	24/09/97	ს	ᲛᲠ	ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ	1:0	ქეცბაია
36	11/10/97	შ	ᲛᲠ	ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ	3:0	ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
37	06/02/98	ნ	ᲡᲢ	ᲚᲘᲗᲕᲐ	2:1	ჯამარაული 2
38	08/02/98	ნ	ᲡᲢ	ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ	3:0	ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
39	10/02/98	ს	ᲡᲢ	ᲛᲐᲚᲢᲐ	3:1	ყაველაშვილი 2, ჯამარაული
40	02/05/98	ს	ᲐᲛ	ᲢᲣᲜᲘᲡᲘ	1:1	ქინქლაძე
41	30/05/98	შ	ᲐᲛ	ᲠᲣᲡᲔᲗᲘ	1:1	ზ. ჯანაშია
42	12/08/98	ს	ᲐᲛ	ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ	0:1	
43	19/08/98	ს	ᲐᲛ	ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ	0:4	
44	05/09/98	შ	ᲔᲠ	ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ	1:0	ა. არველაძე
45	10/10/98	ს	ᲔᲠ	ᲚᲘᲗᲕᲘᲐ	1:0	
46	14/10/98	ს	ᲔᲠ	ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ	0:3	
47	18/11/98	შ	ᲐᲛ	ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ	3:1	აშვეთია 2, დ. ჯანაშია
48	20/03/99	შ	ᲐᲛ	ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ	0:1	
49	27/03/99	შ	ᲔᲠ	ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ	1:1	ზ. ჯანაშია
50	28/04/99	შ	ᲔᲠ	ᲜᲝᲠᲕᲔᲗᲘ	1:4	ზ. ჯანაშია
51	30/05/99	ს	ᲔᲠ	ᲜᲝᲠᲕᲔᲗᲘ	0:1	
52	05/06/99	შ	ᲔᲠ	ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ	1:2	ქეცბაია
53	04/09/99	ს	ᲔᲠ	ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ	1:2	შ. არველაძე
54	08/09/99	შ	ᲔᲠ	ᲚᲘᲗᲕᲘᲐ	2:2	შ. არველაძე, ყაველაშვილი
55	09/10/99	ს	ᲔᲠ	ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ	1:2	შ. არველაძე
56	02/02/00	ნ	ᲡᲢ	ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲗᲘ	0:2	ქეცბაია, ყაველაშვილი
57	04/02/00	ნ	ᲡᲢ	ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	1:1	ქეცბაია (პენალტებით 2:4)
58	06/02/00	ნ	ᲡᲢ	ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ	2:1	ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი
59	28/03/00	ს	ᲐᲛ	ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ	1:1	ქინქლაძე
60	26/04/00	ს	ᲐᲛ	ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ	0:0	
61	04/06/00	ს	ᲐᲛ	ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ	0:0	
62	11/06/00	ს	ᲐᲛ	ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ	0:1	
63	16/08/00	ს	ᲐᲛ	ᲘᲠᲐᲜᲘ	1:2	ყაველაშვილი
64	07/10/00	ს	ᲛᲠ	ᲚᲘᲗᲕᲐ	4:0	ქეცბაია 2, ქინქლაძე, ა. არველაძე
65	11/10/00	ს	ᲛᲠ	ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	0:2	
66	14/02/01	შ	ᲐᲛ	ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ	0:0	
67	28/03/01	შ	ᲛᲠ	ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	0:2	
68	24/04/01	შ	ᲐᲛ	ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ	3:2	ქეცბაია 2, ა. არველაძე
69	09/05/01	შ	ᲐᲛ	ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ	1:0	იონანიძე
70	02/06/01	შ	ᲛᲠ	ᲘᲢᲐᲚᲘᲐ	1:2	გახოიძე
71	06/06/01	ს	ᲛᲠ	ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ	1:4	ჟობიაშვილი
72	15/07/01	ს	ᲐᲛ	ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ	3:0	დემეტრაძე 2, ალექსიძე
73	01/09/01	შ	ᲛᲠ	ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ	3:1	შ. არველაძე, ჯამარაული, იაშვილი
74	05/09/01	შ	ᲛᲠ	ᲚᲘᲗᲕᲐ	2:0	იაშვილი 2
75	06/10/01	ს	ᲛᲠ	ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ	1:1	იაშვილი
76	27/03/02	შ	ᲐᲛ	Ს. ᲐᲤᲠᲘᲙᲐ	4:1	დემეტრაძე 2, ჟობიაშვილი, ალექსიძე
77	17/04/02	ს	ᲐᲛ	ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ	1:2	ბურდული
78	21/08/02	ს	ᲐᲛ	ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ	0:3	
79	08/09/02	ს	ᲔᲠ	ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ	1:4	შ. არველაძე
80	12/02/03	შ	ᲐᲛ	ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ	2:2	ჩალაძე, აშვეთია
81	29/03/03	შ	ᲔᲠ	ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ	1:2	ჟობიაშვილი
82	02/04/03	შ	ᲔᲠ	ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ	0:0	
83	30/04/03	შ	ᲔᲠ	ᲠᲣᲡᲔᲗᲘ	1:0	ასათიანი
84	11/06/03	ს	ᲔᲠ	ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ	0:2	
85	06/09/03	შ	ᲔᲠ	ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲗᲘ	3:0	შ. არველაძე 2, აშვეთია

შენიშვნა: ს-ად (სტუმრად/შინ/ნეიტრალურზე); რ-ანგი (საერთაშორისო ტურნირი, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი, ამხანაგური მატჩები); თ-ამაში; გ-ოლი

მატჩები

გიორგი ნემსაძე		64
გოჩა ჯამარაული		56
თემურ ქეცბაია		50
გიორგი ქინქლაძე		49
შოთა არველაძე		47
მიხეილ ყაველაშვილი		45
ლევან ჟობიაშვილი		43
ჯახა ჯალაძე		35
არჩილ არველაძე		32
მურთაზ შელია		28
ჯახა გოგიჩაიშვილი		27
გიორგი დემეტრაძე		27
დავით გვარამაძე		26
ლევან ცქიტიშვილი		26
გიორგი ჩიხრაძე		24
ჯახა ცხადაძე		23
გელა შეყილაძე		22
ზურაბ ხიზანიშვილი		22
ლევან სილაგაძე		21
გივი დიდავა		20
ირაკლი ზოიძე		19
დიმიტრი ჟუდინოვი		18
ალექსანდრე რეხვიაშვილი		18
რაატი ალექსიძე		17
ალექსანდრე იაშვილი		16
გიორგი გახოიძე		15
აკაკი დევაძე		15
რევაზ ქემოკლიძე		15

გოლები

შოთა არველაძე		18
თემურ ქეცბაია		16
გიორგი ქინქლაძე		8
მიხეილ ყაველაშვილი		8
არჩილ არველაძე		6
ალექსანდრე იაშვილი		6
გოჩა ჯამარაული		6
მიხეილ აშვეთია		4
გიორგი დემეტრაძე		4
ზაზა ჯანაშია		4
ლევან ჟობიაშვილი		3
დავით ჯანაშია		3

სახელი	გვარი	ა	თარიღი	ულუბი	თ	გ
ვალერი	აბრამიძე	მ	17/01/80	ურალანი (რუსეთი)	6	–
რაატი	ალექსიძე	თ	08/09/78	დინამო	17	2
ალექსანდრე	ამისულაშვილი	მ	20/08/82	დინამო	6	–
არჩილ	არველაძე	თ	22/02/73	ლოკომოტივი	32	6
რევაზ	არველაძე	ნ	15/09/69	თამაში მიატოვა	11	1
შოთა	არველაძე	თ	22/02/73	რეინჯერსი (შოტლანდია)	47	18
მალხაზ	არზიანი	მ	15/08/64	თამაში მიატოვა	1	–
მალხაზ	ასათიანი	ნ	04/08/81	ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)	5	1
დავით	ასლანაძე	მკ	16/11/76	ამერი	1	–
შალვა	აფხაზავა	თ	04/08/80	არსენალი (უკრაინა)	1	–
მიხეილ	აშვეთია	თ	10/11/77	ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)	12	4
ბადრი	ახვლედიანი	მ	19/10/70	უგუნდო	2	–
გიორგი	ბალაშვილი	მ	07/08/73	დილა	3	–
ბესიკ	ბერაძე	მ	20/02/68	თამაში მიატოვა	8	–
მელორ	ბიგვავა	თ	17/01/63	აინტრახტი (ვირგესი, გერმანია)	1	–
ვლადიმერ	ბურდული	ნ	26/02/80	დინამო	10	1
იური	გაბისკირია	ნ	01/09/68	სიონი	1	–
გიორგი	გახოიძე	ნ	09/11/77	ტვენტე (ჰოლანდია)	15	2
ირაკლი	გემეზაშვილი	მ	06/07/77	თბილისი	1	–
დავით	გვარამაძე	მკ	08/11/75	დინამო	26	–
ჯახა	გოგიჩაიშვილი	ნ	31/10/68	უგუნდო	27	1
ალექსანდრე	გოგობერიშვილი	ნ	26/02/76	დინამო	2	–
გოჩა	გოგრიჭიანი	თ	12/08/64	ჟემჩუჟინა (სოჭი, რუსეთი)	8	2
იოსებ	გრიშიკაშვილი	მკ	21/12/72	ლოკომოტივი	10	–
გია	გურული	თ	20/05/64	თამაში მიატოვა	3	–
ვალტერ	გუჩუა	მ	06/07/75	სიონი	5	–
გოჩა	გუჯაბიძე	მ	07/07/71	ივერია	1	–
გიორგი	დავითნიძე	მ	18/07/78	ამერი	1	–
გიორგი	დარასელია	ნ	17/09/68	ცაფერირიმი (ჰულონი, ისრაელი)	8	1
ვიტალი	დარასელია	თ	27/09/78	დინამო	4	–
აკაკი	დევაძე	მკ	28/11/71	უგუნდო	15	–
გიორგი	დემეტრაძე	თ	26/09/76	მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა)	27	4
გივი	დიდავა	მ	26/03/76	ქოჯაელისფორი (თურქეთი)	20	–
ირაკლი	ვაშაკიძე	მ	13/03/76	ლოკომოტივი	1	–
ირაკლი	ზოიძე	მკ	21/03/69	დინამო	19	–
ვაჟა	თარხნიშვილი	მ	26/08/71	შერიფი (მოლდოვა)	2	–
სევასტი	თოდუა	მ	13/05/76	ტორპედო	6	–
ალექსანდრე	იაშვილი	თ	23/10/77	ფრაიბურგი (გერმანია)	16	6
გელა	ინალიშვილი	ნ	03/10/66	თამაში მიატოვა	10	–
ზურაბ	იონანიძე	თ	02/12/71	ტავრია (უკრაინა)	3	1
თემურ	კაბისაშვილი	მ	13/09/67	თამაში მიატოვა	1	–
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	თ	02/11/78	დილა	1	–
ჯახა	ჯალაძე	მ	22/02/78	მილანი (იტალია)	35	–
მერაბ	კაციტაძე	მ	25/02/63	თამაში მიატოვა	1	–
ჯახა	კაჭარავა	თ	19/09/66	თამაში მიატოვა	2	1
გივი	კვარაცხელია	ნ	11/05/79	თბილისი	3	–
ჯახა	კვეტენაძე	ნ	03/06/70	ტორპედო	1	–
დავით	კვირკველია	ნ	27/06/80	დინამო	3	–
გიორგი	კიჟნაძე	ნ	26/04/76	უგუნდო	10	1
გიორგი	კილასონია	ნ	09/09/68	ამერი	3	–
ლევან	კობიაშვილი	მ	10/07/77	შალკე (გერმანია)	43	3
დიმიტრი	კუდინოვი	მ	08/02/63	თამაში მიატოვა	18	1
ნუგზარ	ლობჟანიძე	მ	07/09/71	თამაში მიატოვა	13	–
გიორგი	ლომაია	მკ	08/08/79	სპარტაკი (რუსეთი)	10	–
მამუკა	მაჭავარიანი	მ	27/11/70	თამაში მიატოვა	3	–
მიხეილ	მახვილაძე	მ	22/07/78	ტორპედო	1	–
ლევან	მელქაძე	თ	12/12/79	დინამო	2	–
ზურაბ	მენთეშაშვილი	ნ	30/01/80	სკონტო (ლატვია)	11	1
გიორგი	მეგრელაძე	თ	21/07/78	ორფეასი (საბერძნეთი)	1	–
ლევან	მიქაძე	მ	13/09/73	ჯრიკბასი (უკრაინა)	1	–
ლაშა	მონასელიძე	ნ	02/01/77	უგუნდო	1	–
ამირან	მუკირი	ნ	20/02/74	მარეკი (ბულგარეთი)	1	–
დავით	მუკირი	ნ	02/01/78	შტურმი (ავსტრია)	2	–
გიორგი	ნემსაძე	ნ	10/05/72	დანდი (შოტლანდია)	64	–
გიორგი	ნიკურაძე	მკ	01/10/79	ყოოტეკეე (ფინეთი)	1	–
ლაშა	ნოზაძე	ნ	18/03/80	ვიტ ჯორჯია	1	–
რაინ	ონიანი	მ	14/06/75	ლოკომოტივი	1	–
გიორგი	რევაზიშვილი	ნ	31/03/77	დილა	1	–
ზაზა	რევიშვილი	მ	23/09/68	თამაში მიატოვა	11	–
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	ნ	06/08/74	ტორპედო-მეტალურგი (რუსეთი)	18	–
არჩილ	სახვაძე	მ	10/03/78	დინამო	1	–
ედიკ	საკაია	მ	16/02/81	უგუნდო	9	–
ვასილ	სეფაშვილი	თ	17/02/69	თამაში მიატოვა	3	–
ჯახა	სიდამონიძე	მ	17/04/71	თბილისი	5	–
ლევან	სილაგაძე	მ	04/08/76	რუბინი (რუსეთი)	21	–
თენგიზ	სიჭინავა	ნ	15/05/72	ლოკომოტივი	10	–
ნიკოლოზ	ტოგონიძე	მკ	26/04/71	ჰრიკარპატია (უკრაინა)	11	–
თემურ	ტუღუში	თ	24/02/72	კოლხეთი	3	–
გოჩა	ტყემუჩავა	მ	24/11/63	თამაში მიატოვა	1	–
გია	ფირცხალავა	მ	03/01/65	თამაში მიატოვა	1	–
ზურაბ	ფოფხაძე	მ	02/06/72	უგუნდო	4	–
მიხეილ	ფოცხვერია	თ	12/08/75	თამაში მიატოვა	4	–
რევაზ	ქემოკლიძე	მ	13/03/79	ლოკომოტივი	15	–
თემურ	ქეცბაია	ნ	18/03/68	ანართოსისი (კვიპროსი)	50	16
გიორგი	ქინქლაძე	ნ	06/07/76	უგუნდო	49	8
გიორგი	ღუდუშაური	ნ	18/02/73	ამერი	8	–
მიხეილ	ყაველაშვილი	თ	22/07/71	უგუნდო	45	8
დავით	ყიზილაშვილი	თ	12/12/70	თამაში მიატოვა	8	2
გიორგი	ყიფიანი	ნ	12/08/78	ტორპედო	2	–
გიორგი	შაშიაშვილი	მ	01/09/79	დინამო	8	–
მურთაზ	შელია	მ	25/03/69	თამაში მიატოვა	28	–
გელა	შეყილაძე	მ	14/09/70	არსენალი (უკრაინა)	22	–
დავით	ჩალაძე	თ	22/01/76	რუბინი (რუსეთი)	4	1
გოჩა	ჩიქოვანი	მ	12/10/62	თამაში მიატოვა	1	–
გიორგი	ჩიხრაძე	მ	01/10/67	ამერი	24	–
გია	ჩხაიძე	მ	23/02/70	ივერია	3	–
ჯახა	ჩხეტიანი	ნ	24/02/78	ჰეჩი (უნგრეთი)	1	–
დავით	ცომაია	ნ	04/09/67	თამაში მიატოვა	3	–
ლევან	ცქიტიშვილი	მ	10/10/76	ფრაიბურგი (გერმანია)	26	1
ჯახა	ცხადაძე	მ	07/09/68	ანჟი (რუსეთი)	23	1
მერაბ	ძოძუაშვილი	თ	04/11/80	დილა	2	–
მამუკა	წერეთელი	მ	17/01/79	დინამო	9	–
გიორგი	ჭანკოტაძე	მ	04/10/77	უგუნდო	3	–
გრიგოლ	ჭანტერია	მკ	25/09/73	უგუნდო	2	–
სოსო	ჭედია	ნ	09/10/65	თამაში მიატოვა	1	–
დავით	ჭიჭვეიშვილი	ნ	23/01/75	სიონი	3	–
ვახტანგ	ხვადაგიანი	მ	04/04/72	ტორპედო	1	–
ზურაბ	ხიზანიშვილი	მ	06/10/81	რეინჯერსი (შოტლანდია)	22	–
ოთარ	ხიზანეიშვილი	მ	26/06/81	დინამო	6	–
დავით	ხმელიძე	მკ	28/04/79	ჟემჩუჟინა (რუსეთი)	1	–
შალვა	ხუკაძე	მ	05/10/75	სიონი	2	–
გოჩა	ჯამარაული	ნ	23/07/71	მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა)	56	6
დავით	ჯანაშია	თ	07/08/72	ატირაუ (ყაზახეთი)	10	3
ზაზა	ჯანაშია	თ	10/02/76	უგუნდო	9	4
დავით	ჯანელიძე	მკ	09/02/73	თამაში მიატოვა	2	–
ზვიად	ჯელაძე	მ	16/12/73	ბალტიკა (რუსეთი)	3	–
მამუკა	ჯიქია	ნ	11/12/75	ამიცა (ვრონეკი, ჰოლონეთი)	2	–
გია	ჯიშკარიანი	ნ	30/11/67	თამაში მიატოვა	8	1
მიხეილ	ჯიშკარიანი	თ	01/11/69	უგუნდო	2	–
სულ:	119 მოთამაშე					

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

II ჯგუფი

დანია — რუმინეთი
ლუქსემბურგი — ბოსნია-ჰერცეგოვინა

ახლა-რთულ-ჩახლართული

სეხნიების ძიძგილაობა შავტუხამ მოიგო



პირველ ბუქარესტულ მატჩში დანიელები ხარობდნენ, ანგელ იორდანესკუ კი, ცხადია, მოწყენილი იყო

ჯგუფში ვითარება ისე ჩაიხლართა, რომ პორტუგალიის საგზურს ერთდროულად ოთხი გუნდი ეპოტინება. მხოლოდ ლუქსემბურგია ცხრილის ფსკერზე, ლოქოსავით მშვიდად, მოუგებლად, უქულოდ და უგოლოდ. ლუქსემბურგელებმა მეტოქეებს გულუხვად დაურიგეს ქულები და თუ დღეს ბოსნიელებსაც არ აწყენინეს, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება.

სტუმრად დანიის, შინ კი ნორვეგიელთა მძლეველ ბოსნია-ჰერცოგოვინას უსუსტეს თანაჯგუფელთან მოგების ეიმედება. მათი გამარჯვების შემთხვევაში, 11 ოქტომბრის შეხვედრა იუგოსლავიის განაყარსა და დანიას შორის ფინალის ელფერს შეიძენს. ოღონდ ასეთი ფინალისთვის საჭიროა დამატებითი პირობის შესრულება — რუმინეთმა კოპენჰაგენში არ უნდა წააგოს.

რუმინელები დღეს შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩს ითამაშებენ და თუ მოიგეს, 16-ქულიანი ლიდერის დაწევის შანსი მხოლოდ დანიას ექნება, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქტომბერში ბოსნიას ესტუმრება. მოკლედ, მორტენ ოლსენის მეომრებს ორი რთული შეხვედრა ელით და მათ პორტუგალიის ბილეთების შეკვეთა დღეს საღამოსვე შეუძლიათ. საამისოდ ანგელ იორდანესკუს ნაკრების დამარცხება სჭირდებათ.

რაც შეეხება ნორვეგიას, მას მხოლოდ ლუქსემბურგთან მატჩი დარჩა და ნებისმიერ ვარიანტში სხვათა მოხვეჭილ ქულებს უნდა დაუყარაულდეს, საკუთარი მომავლის ამბავი რომ შეიტყოს.

„გასულ შაბათს ბოსნიისგან ნორვეგიის ძლევამ შანსები გაზარდა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ რუმინელები და ბოსნიელები ჩვენთან ფრეს არ დაყაბულდებიან, ამიტომ ნამდვილი ომები გველის. ევრო 2004 საგზურის დაბევება დღესვე თუ გვსურს, ჭკვიანურად თამაში და გამარჯვება გვმართებს“ — თქვა მორტენ ოლსენმა, რომელსაც დღეს ორი კაცი დააკლდება: პსვ-ს მცველი კასპერ ბოგელუნდი და „ბრონდბიუს“ მორტენ ვიგჰორსტი. დანაკლისის შესავსებად მწვრთნელს თავი არ შეუწუხებია. მილანელ იონ დალ ტომასონი მომჯობინდა, ებე სანდიც ფორმაშია და, სავარაუდოდ, მასპინძლები ამ დუეტით შეუტევენ.

დანიელი კოლეგისგან განსხვავებით, ანგელ იორდანესკუმ ახალგაზრდული ნაკრებიდან კრისტიუ დაიმატა, მას შემდეგ, რაც გასულ კვირას ბუგა დაუშავდა.

„ყველამ იცის, რომ ურთულესი მატჩი გველის — განაცხადა იორდანესკუმ — ერთი რამ კარგად გავითავისეთ — პორტუგალიაში წასასვლელად დანიელთა ძლევა გვჭირდება. სწორედ მოსაგებად ვითამაშებთ, საბრძოლო განწყობა და სწორი ტაქტიკა თუ დაგვეხმარება. შინ ვიკინგებთან კი დავმარცხდით (2:5), მაგრამ მერწმუნეთ, მსგავსი ნახევარ საუკუნეში ერთხელ ხდება.

ნაკრების ვეტერანი დორინელ მუნტიანუ (116 სანაკრებო მატჩი): „ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა. ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ნამდვილ გუნდს შეჰფერის. ნებისყოფა გვმართებს, რადგან მატჩი 90 წუთი გრძელდება“.

ადრიან მუტუ: „შინ დაშვებული შეცდომების გამეორებას არ ვაპირებთ. ვგრძნობ, რომ ამჯერად გამარჯვება შეგვიძლია და აუცილებლად მოსაგებად ვიბრძოლებთ“.

აქვე ერთი ჩხუბის ამბავსაც მოგახსენებთ. ნორვეგიელმა იონ არნე რიისემ დ იონ კარეუმ შეკრებაზე ერთმანეთს დასცხეს და თქვენ როგორ ფიქრობთ, რომელი აჯობებდა? რა თქმა უნდა, ზორბა კარეუ. მომხდარის შემდეგ მოძიძგილავენი შეარიგეს და ამბავიც ხელის ჩამორთმევით დასრულდა.

ვაჟა ხუციშვილი

რუმინეთი	7	4	1	2	19:7	13
დანია	6	4	1	1	12:6	13
ნორვეგია	7	3	2	2	8:5	11
ბოსნია	6	3	0	3	5:7	9
ლუქსემბურგი	6	0	0	6	0:19	0

11 ოქტომბერი

ნორვეგია — ლუქსემბურგი

ბოსნია — დანია

III ჯგუფი

ჩეხეთი — ჰოლანდია
მოლდოვა — ბელარუსი

ვინ გაჩეხავს ბოლო გარიმრს?

პატრიკ კლუივერტმა (მარცხნივ), თავს არ დავზოგავო

დავიწყოთ ჰოლანდიისა და ავსტრიის შეხვედრით, რომელშიც პატრიკ კლუივერტმა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში თავისი 39-ე გოლი გაიატანა და ამ გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა. გამოდის, რომ დღეს, ჩეხებთან შეხვედრაში მას შეუძლია მე-40 გოლი გაიტანოს.

ჩეხებმა, ამასობაში, ბელარუსში გაიმარჯვეს (ორივე შეხვედრა 3:1 დასრულდა) და გამოვიდა, რომ ჰოლანდიელებთან ერთად პირველი ან მეორე ადგილი გაინაწილეს. ერთი სიტყვით, დღევანდელი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, მან უნდა დასახელოს ის, ვინც ჯგუფიდან პირდაპირ გადის და ის, ვინც პლეი ოფში მოხვდება.

„ეფიქრობ, ჩეხების ძლევა შეგვიძლია — ამბობს კლუივერტი — გასაგებია, რომ ეს ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ განა ავსტრიაში არ დავამტკიცეთ, რომ ბრძოლა ბოლომდე ვიცით? ყველა ღონეს ვიხმართ, რათა პორტუგალიაში ავტომატურად მოვხვდეთ“.

ჰოლანდიელების საგანგებო ღონისძიება გასაგებია, რადგან ისინი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ და ახლა იმავე შეცდომის გამეორებისა ეშინიათ.

„ევროპის ჩემპიონატზე ვერგასვლა წარმოუდგენელია, — დაადასტურა „ბარსელონას“ თავდამსხმელმა — ჩვენ ხომ მსოფლიოს პირველობაზე ვერმოხვედრით ქომაგები სასტიკად გავანაწყენეთ, ხოლო იგივეს გამეორება არ შეიძლება. მაშინდელმა ხელმოცარვამ მხოლოდ გაგვაძლიერა და გაგვაერთიანა“.

ავსტრიელებთან შეხვედრაში ჰოლანდიელებს ელვარ დავიდსი დაუშავდათ და მისი პრალაში თამაში ერთობ საეჭვოა.

„ჩვენს გუნდში ამ მატჩის მნიშვნელობა ყველას ესმის და ვიმედოვნებ, რომ ნებისმიერი შემადგენლობით შევძლებთ გამარჯვებას, მარტში ჩეხებმა ფრე მოახერხეს, არადა იმ დღეს მოგებას ვიმსახურებდით. რომ არა სულელური შეცდომა, ეს არ მოხდებოდა. დღეს სრული კონცენტრაცია გვჭირდება, რათა შეცდომები არ მოგვიდეს“.

ხოლო ჩეხთა თავკაცი კარელ ბრუკნერი ასე ბრძანებს:

„ახლა ექსპერიმენტების დრო არ არის. ჰოლანდიასთან მატჩი ჩვენთვის ყველაზე დიდი გამოცდაა“. ჩეხებს წინ კიდევ ავსტრიასთან ელით შეხვედრა, მაგრამ დღესვე მოგების შემთხვევაში ისინი მიუწვდომელნი გახდებიან. იგივეს თქმა შეიძლება ჰოლანდიელებზე, რომელთაც 11 ოქტომბერს მოლდოვასთან დარჩებთ საქმე გასარკვევი.

რაც შეეხება ფრეს, თუ 0:0-ია, მაშინ პირადი შეხვედრების გამო უპირატესობა ჩეხებისა იქნება, 2:2 და ზეით კი უმჯობეს მდგომარეობაში ჰოლანდიელებს ჩაგდებს. 1:1 იმას ნიშნავს, რომ მეტოქეებს ერთმანეთთან უპირატესობა არ ექნებათ და გატანილ-გაშვებულთა სხვაობა გახდება დასათვლელი.

პაპუნა კვედია

ჩეხეთი	6	5	1	0	17:2	16
ჰოლანდია	6	5	1	0	14:3	16
ავსტრია	7	3	0	4	10:11	9
მოლდოვა	6	1	0	5	3:13	3
ბელარუსი	7	1	0	6	3:18	3

11 ოქტომბერი

ავსტრია — ჩეხეთი

ჰოლანდია — მოლდოვა

I ჯგუფი

ისრაელი — მალტა
სლოვენია — საფრანგეთი



ზინედინ ზიდანი მოკეთდა და საფრანგეთისთვის ითამაშებს

საფრანგეთი	6	6	0	0	24:2	18
სლოვენია	6	4	1	1	13:8	13
ისრაელი	6	2	2	2	7:6	8
კვიპროსი	7	2	1	4	7:16	7
მალტა	7	0	0	7	3:22	0

11 ოქტომბერი

კვიპროსი — სლოვენია

საფრანგეთი — ისრაელი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

IV ჯგუფი

პოლონეთი – შვედეთი

ლატვია – უნგრეთი





მარიან პახარსი იმრე გელეის უნგრეთს ვერ შეაწუხებს

უნგრელი მექორწილეები

გელეი პორტუგალიაში დაუკრავს?

მეორეჯგუფელი ლუქსემბურგის მსგავსად, აქ ქულების ქარხანა სანმარინოა. ოთხეულმა სანმარინოსგან ექვს-ექვსი ქულა აიღო და მიუხედავად ამისა, ერთპიროვნული ლიდერი ჯგუფს არ ჰყავს.

პორტუგალიის კონტურები შვედეთიდან უკეთ მოჩანს, ვიდრე ლატვიიდან, მაგრამ 11 ოქტომბრამდე, ანუ ბოლო ტურამდე, ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ წამსვლელის ვინაობა ალბათ არ გაირკვევა.

თვით ლატვიელებსაც კი აქვთ მომავალ ზაფხულს პორტუგალიაში გამგზავრების შანსი. საამისოდ მათ ორივე დარჩენილი შეხვედრის მოგება სჭირდებათ, რაც საეჭვოა, მაგრამ არა შეუძლებელი.

ბალტიისპირელთა მწვრთნელი ანდრეი სტარკოვი თამამად ბჭობს: „ჩვენ უნგრეთსა და შვედეთს უნდა ვძლიოთ ევრო 2004-ზე მოსახვედრად".

ნაკრების მცველი ვალენტინ ლობანევი: „გასულ შაბათს შინ პოლონელებთან მარცხმა გული ძალიან დაგვწყვიტა, მაგრამ ყველაფერს ვილონებთ, რათა გულშემატკივრები აღარ გავაწბილოთ".

ლატვიელთა ბანაკში შექმნილი ვითარება ასეთია: უპირველესი მეგოლე მარიან პახარსი და იური ლაიზანსი უნგრელთა წინააღმდეგ ნამდვილად ვერ ითამაშებენ. ტრავმირებულნი არიან ანდრეი რუბინი და მისი სეხნია პროხორენკოვი.

მცველი ოლეგ ბლაგონადეჟნი იხტიბარს მაინც არ იტეხს: „ჩვენ შანსი კიდევ გვაქვს. ზედიზედ ორჯერ დავმარცხდით და ახლა დასაკარგი არაფერია. დღეს ბუდაპეშტში განცდილი მარცხი უნგრელებს ცხვირში უნდა ამოვადინოთ. მიჯრით მესამე წაგებას ქომაგები არ გვაპატიებენ".

ახლა უნგრელთა მწვრთნელ იმრე გელეის ნათქვამსაც გავეცნოთ: „შარშან წილისყრის შემდეგ მე განვაცხადე, რომ ლატვიასთან ექვსი ქულის აღება გვმართებს. ახლაც იგივეს ვფიქრობ."

რიგის სტუმრებს მხოლოდ ერთი მცველი, გაბორ კოროლევსკი დააკლდებათ. ბრწყინვალე ფორმაში არიან ფორვარდები — მიკლოშ ფეხერი, იმრე საბიჩი და ზოლტან გერა, რომელმაც ორ წინა მატჩში ოთხი გოლი მიითვალა.

იმრე გელეი: „ამჟამინდელი მეორე ადგილი დიდი შრომის ფასად მოვიპოვეთ. ვიმედოვნებ, იმ მუსიკოსებს არ დავემსგავსებით, მთელი ცხოვრება ქუჩის კუთხეში რომ გაატარეს და საქორწილო ცერემონიაზე დასაკრავად ერთხელაც არ მიუწვევიათ". შვედებს ვარშავაში პოლონელებთან გამოცდა ელით. სკანდინაველებმა თუ იმარჯვეს, პირველ ადგილს გაინაღდებენ და პორტუგალიის რუკა უნდა შეიძინონ.

მაკა ხუციშვილი

შვედეთი	6	4	2	0	17:2	14
უნგრეთი	6	3	2	1	13:4	11
პოლონეთი	6	3	1	2	9:4	10
ლატვია	6	3	1	2	6:5	10
სან მარინო	8	0	0	8	0:30	0

11 ოქტომბერი

უნგრეთი — პოლონეთი

შვედეთი — ლატვია

VII ჯგუფი

ინგლისი — ლიხტენშტაინი

სლოვაკეთი — მაკედონია

თურქეთი	7	6	0	1	17:5	18
ინგლისი	6	5	1	0	12:5	16
სლოვაკეთი	6	2	0	4	8:8	6
მაკედონია	7	1	2	4	10:13	5
ლიხტენშტაინი	6	0	1	5	2:18	1

11 ოქტომბერი

თურქეთი — ინგლისი

ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

V ჯგუფი

გერმანია – შოტლანდია

ფარერები – ლიტვა

ფოგთსმა იდიოტობის ხანა გაიხსენა

ბიჭები ვალს გადაიხდიან

სრულიად გერმანიამ რუდი ფიოლერისთვის მოიცალა. ქომაგები თუ ჟურნალისტები მწვრთნელის კრიტიკაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ბუნდესნაკრების თავკაცს თავისი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი დღეს აქვს და შოტლანდიას თუ სძლევს, ეგებ მოლაქლაქენი მცირე ხნით მიაჩუმოს.

ისლანდიური უგოლო ფრის შემდეგ ფიოლერს მტრების გარდა მოყვრებიც გამოუჩნდნენ. მათ შორის თვით ფრანც ბეკენბაუერიც. მან თქვა: „გერმანიას რეიკიავიკში ობიექტური მიზეზების გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა. მსგავს ვითარებაში მეც არაერთხელ ვყოფილვარ, ამიტომ ამჟამინდელი მწვრთნელის მდგომარეობა ძალიან კარგად მესმის. ასეთ დროს თავს გასაპუტი მამალივით ვგრძნობდი, რომელსაც ბუმბულს აცლიან, ის კი თავს იცავს".

ბუნდესთავკაცის ადვოკატობა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, გერჰარდ მაიერფორფელდერმაც იკისრა: „რუდი მთლიანად ფეხბურთშია ჩაფლული. ის ჩვენთან უნივერსიტეტის აუდიტორიიდან არ მოსულა. შესაძლოა, ტელეინტერვიუში მწარედ ილაპარაკა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მას ვინმეს წყენინება არ უფიქრია". გერმანიის საფეხბურთო კავშირის წევრებმაც ფიოლერის მხარე დაიჭირეს.

„რუდი რემბო" — ასე დაასათაურა თავისი გვერდი „ბილდმა". შერისხული მწვრთნელის დღევანდელმა მეტოქემ, ბერტი ფოგთსმა გაჭადარავებულ ფიოლერს სიტყვა შეაწია: „რუდის გულისტკივილი ჩემთვის გასაგებია. მიცხოვრია ისეთ გარემოში, როცა გარშემო მყოფნი დაუმსახურებლად იდიოტს გეძახიან".

ბუნდესმწვრთნელს პრობლემები არ აკლდა და ახლა ტრავმირებულებს სებასტიან დაისლერიც შეუერთდა. 23 წლის ნახევარმცველს ბარძაყის კუნთი გაუწყდა და ბოლო ხუთ წელიწადში ხუთი ოპერაციით გატანჯულ კაცს კვლავ ქირურგთან შეხვედრა ელის.

რეიკიავიკში ვერ ითამაშა და დღესაც არ იქნება იენს იერემისი. ექიმის თქმით, მარჯვენა მუხლი მოსაწესრიგებელი აქვს და ამ საქმეს რამდენიმე კვირა დასჭირდება.

მსუბუქად დაშავებულან კარსტენ რამელო და ოლივერ ნოივილი, თუმც ფიოლერს მათი ეიმედება.

„მწვრთნელი ჩვენს გამო გვარიანად შეახურეს. ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ და ფიოლერს ნაკრების ვექილობისთვის მადლობას ასე გადავუხდით" — აღმოხდა ტობიას რაუს.

ბერტი ფოგთსი: „დასაკარგი არაფერი გვაქვს. შოტლანდიასთან ერთად პორტუგალიაში გამგზავრება უფრო გამახარებს, ვიდრე 1996 წელს გერმანიის მწვრთნელობისას მოგებული ევროპის ჩემპიონობა".

მატჩი დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე" გაიმართება. „ბორუსიას" ყოფილი ფეხბურთელი, 1997 წელს ჩემპიონთა თასის მომგები პოლ ლამბერტი ნაცნობ ქალაქს კაპიტნის სამკლავურით ეწვევა. „ბორუსია" ფანტასტიკური კლუბია და იქაურ სტადიონზე ყოველთვის სასიამოვნო ატმოსფეროა. ვფიქრობ, რომ გულშემატკივრებს მეტად საინტერესო მატჩი ელით" — აღნიშნა ლამბერტმა.

შოტლანდიელებს „დანფერმლაინის" ფორვარდი სტივ როუფორდი დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ. მას რეინჯერსელი სტივენ ტომპსონი შეცვლის. ფოგთსი ოდენ ერთი თავდამსხმელით თამაშს აპირებს.

მაკა ხუციშვილი

ისლანდია	7	4	1	2	11:6	13
გერმანია	6	3	3	0	8:3	12
შოტლანდია	6	3	2	1	10:6	11
ლიტვა	6	2	1	3	4:9	7
ფარერები	7	0	1	6	6:15	1

11 ოქტომბერი

შოტლანდია — ლიტვა

გერმანია — ისლანდია



რუდი ფიოლერი



ბერტი ფოგთსი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

VI ჯგუფი

ესპანეთი – უკრაინა
ჩრდილოეთ ირლანდია – სომხეთი

მთავარია ვიყოთ გუნდი
ბურიაკმა ესპანეთი აწონა

ინაკი საესს ფერნანდო ტორესი დაუშავდა

დღეს ესპანეთში ევრო 2004-ის შესარჩევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატჩია. პირინეელები უკრაინის ნაკრებს შეერკინებიან და ამ შეხვედრამ შესაძლოა, ბევრი რამ გადაწყვიტოს. მასპინძლები გამარჯვების ან თუნდაც ფრის შემთხვევაში პორტუგალიის საგზურს თითქმის ჯიბეში დაიგულებენ, როდესაც უკრაინელებს ამისთვის უცილობელი მოგება ესაჭიროებათ.

„უკრაინელებს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ. მიუხედავად ამისა, ამ მატჩში ჩვენი მიზანი ოდენ გამარჯვება იქნება. ესპანეთის ნაკრები ამ თამაშისთვის მზადაა" — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა ინაკი საესმა. საბრძოლოდ არიან განწყობილნი ფეხბურთელებიც — „ახლა მოდუნება ჩვენთვის დამღუპველი იქნება. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები და უკრაინელებთან სასურველ შედეგს მივაღწიოთ" — თქვა ბარსელონელმა კარლეს პუიოლმა. ვალენსიელი რუბენ ბარახას აზრით კი, ელჩეს შერკინებაში გადამწყვეტ როლს გუნდური თამაში შეასრულებს: „მთავარია, ბურიაკის ნაკრებთან ესპანეთი გუნდი იყოს და არა ცალკეული ინდივიდუალისტების შეუკავშირებელი ჯგუფი. ყველაზე ნათელი მაგალითი კვირას პორტუგალიელებთან გამართული ამხანაგური შეხვედრაა. იქ ჩვენმა შეთანხმებულმა თამაშმა შესანიშნავი მოგება მოგვიტანა". ზემოხსენებულ საკვირაო-სამეზობლო დაპირისპირებაში ატლეტიკოელი ფერნანდო ტორესი და სოსიედადელი ხაბი ალონსო დაშავდნენ, რამაც შესაძლოა ამ უკანასკნელის სათადარიგოთა სკამზე გამწესება გამოიწვიოს.

თამაშის იოლად დათმობას არც ლეონიდ ბურიაკი აპირებს, თუმცა უკრაინელთა მწვრთნელის სიტყვებში მასპინძელთაგან განსხვავებით ნაკლები თავდაჯერებულობა იგრძნობა. „ჩვენ ყველაფერი ავწონდავწონეთ. ძალიან რთული თამაში გველის, თუმცა უბრძოლველად არ დავთმობთ. ცხადია, რომ აქაურები ჩვენთან მოგებას შეეცდებიან. ესპანეთი ხომ ყოველთვის ესპანეთად რჩება. ვიმედოვნებ, 10 სექტემბრისთვის შევჩენკო თამაშს მოახერხებს" — უთხრა ბურიაკმა ჟურნალისტებს.

ესპანელებს ელჩეს „მარტინეს ბალეროზე" აქამდე ორი სანაკრებო შეხვედრა ჩაუტარებიათ და ორივეში ერთნაირი ანგარიში, 3:0 უმარჯვიათ. პირველად 1986 წელს ბელგიასთან ამხანაგურ თამაშში ბუტრაგენიოს, ხულიო სალინასისა და მასედას გოლებით მოიგეს, ხოლო შემდეგ, 1995-ში მაშინდელი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში მაკედონიას სძლიეს. ბურთების გატანა კიკომ, კამინერომ და მანხარინმა შესძლეს.

ლადო ხომერიკი

საბერძნეთი	7	5	0	2	7:4	15
ესპანეთი	6	3	2	1	10:3	11
უკრაინა	7	2	4	1	10:8	10
სომხეთი	6	1	1	4	6:12	4
ჩრდ. ირლანდია	6	0	3	3	0:6	3

11 ოქტომბერი

სომხეთი — ესპანეთი
საბერძნეთი — ჩრდ. ირლანდია

ბერძნულ-სომხური ჭიდაობა გრძელდება

ერევანში მომხდარს გაგრძელება უეფაში ექნება. სომხეთ — საბერძნეთის მატჩის დელეგატმა ტომ რასტელმა რუბენ აირაპეტიანისგან (სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი) წალებული აუდიოკასეტა უეფას შტაბბინაში მიაცუნცულა.

ალბათ იცით, რომ იმ კასეტაზე ქრთამის შეთავაზების ამბავია ჩაწერილი. საბერძნეთში მომუშავე საფეხბურთო აგენტმა ერვანდ სუკიასიანმა რუბენ აირაპეტიანს ერთი მილიონი დოლარი შესთავაზა, სანაცვლოდ კი სომხებს ბერძნებთან თამაშის წაგება სთხოვა.

საქმის გარჩევა არ დაწყებულა. უეფას პრესმდივანმა მაილიმ ჯერჯერობით ეს განაცხადა: „მატჩის დელეგატს დავავალეთ, რომ ყველაფერი დაწვრილებით დააწეროს და სათანადო კომიტეტს წარუდგინოს. ამჟამად გამოძიებას არ ვაწარმოებთ, მაგრამ უახლოეს 24 საათში ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებთ. ამ დროისთვის ბერძნებისგან მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ. ინციდენტს დაწვრილებით გამოვიძიებთ, რადგან მისი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია".

რუბენ აირაპეტიანის ნათქვამი ბერძნებმა შეურაცხყოფად მიიღეს და პასუხიც არ დაახანეს. სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გუშინვე თქვა: „ბერძნებს კასეტების არსებობა თუ ეეჭვებათ, მზად ვარ, ერვანდ სუკიასიანთან ჩემი საუბრის ჩანაწერი გავუგზავნო. მე მათი ღირსება არ შემილახავს, მხოლოდ ის ვთქვი, რომ სუკიასიანი ვასილი გაგატსისის (საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი) სახელით მელაპარაკა".

მაშა ხუციშვილი



რუბენ აირაპეტიანი

VIII ჯგუფი

ბელგია – ხორვატია
ანდორა – ბულგარეთი

ბარიჩი მოხარშულ ანტუნესს და შემწვარ ბელგიას იცნობს

სასწაული თუ არ მოხდა, ბულგარეთის ნაკრები ანდორაში გაისეირნებს, რადგან მანამდე ჯგუფის უსუსტესთან ყველამ იხეირა და ალბათ ბულგარელებსაც არ გაუჭირდებათ.

ამ შემთხვევაში ბელგიამ ხორვატიას რომ სძლიოს, „მეწიწაკეები" პორტუგალიის საგზურს უპრობლემოდ ჩაიჯიბავენ.

ბელგიელებმა დღევანდელ მეტოქესთან პირველი მატჩი ზაგრებში 0:4 წააგეს, ამიტომ ოთხი და მეტი ბურთის სხვაობით მოგება სჭირდებათ, რათა პირად შეხვედრებში უპირატესობა მოიპოვონ და მეორე ადგილი დაისაკუთრონ. საამისოდ მათ 11 ოქტომბერს შინ ესტონელთა ძლევაც დასჭირდებათ, ოქტომბრის იმავე დღეს ხორვატები ბულგარეთს ესტუმრებიან.

„წითელი ეშმაკების" მწვრთნელ ემე ანტუნესს ოთხი და მეტი ბურთის სხვაობით გამარჯვება ეეჭვება: „ეს არარეალურია, როცა შენი მეტოქე ხორვატიაა. დარჩენილი ორი მატჩი უნდა მოვიგოთ და ჩვენს შანსებს მერელა დავითვლით".

ანტუნესის ნაკრებს მარჯვენა მცველი ოლივიე დე კოკი დისკვალიფიკაციის, იოს ვალგაერენი და ფორვარდი მბო მპენზა კი ტრავმების გამო დააკლდებათ.

სტუმართა მწვრთნელ ოტო ბარიჩსაც ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე არ ჰყავს. იერკო ლეკო, დადო პრსო და ნიკო კოვაჩი. ბარიჩი ოპტიმისტურადაა განწყობილი და მეტოქე ასე შეაფასა: „არა მგონია, ბელგიელებმა სერიოზული სიურპრიზი შემოგვთავაზონ. ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ კარგად ვიცნობთ".

მაშა ხუციშვილი

ბულგარეთი	6	4	2	0	10:3	14
ხორვატია	6	4	1	1	10:2	13
ბელგია	6	3	1	2	7:8	10
ესტონეთი	7	2	2	3	4:4	8
ანდორა	7	0	0	7	1:15	0

11 ოქტომბერი

ბელგია — ესტონეთი
ხორვატია — ბულგარეთი

მბო მპენზას ფეხმა უღალატა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

IX ჯგუფი

სერბეთი — იტალია

ფრთხილად, იტალიავ!

სერბეთისა და ჩერნიგორიის ნაკრების მწვრთნელი, ილია პეტკოვიჩი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი შინ, ბელგრადში, იტალიელებს დაამარცხებს.

„იტალიელების შეშინება არ მინდა, მაგრამ ვაცხადებ, რომ გამარჯვება ჩვენი ერთადერთი მიზანია. ნებისმიერი სხვა შედეგი გზის დასრულებას ნიშნავს და ამიტომ მწამს, მიზნის მიღწევა შეგვიძლია“, — განუცხადა პეტკოვიჩმა ჟურნალისტებს.

სერბეთი და ჩერნიგორია მეცხრე შესარჩევ ჯგუფში მეოთხე ადგილზეა და პირველზე ან მეორეზე გასვლის ერთობ ბუნდოვანი შანსი აქვს.

კერძოდ, თუ ქვეყანა, რომელსაც არცთუ შორეულ წარსულში იუგოსლავია ერქვა, დღეს იტალიელებს სძლევს, 11 ოქტომბერს კარდიფში უელსელებს დაყოლებს და ამავდროულად სხვებიც მათთვის ხელსაყრელ ანგარიშებს „დასვამენ“, შესაძლოა, პორტუგალიაში ვიხილოთ.

„შანსი მცირე და თეორიულია, მაგრამ ის არსებობს და ჩვენც ვიბრძოლებთ. ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელთაა, სხვა კი რა მოგახსენოთ“, — დასძინა პეტკოვიჩმა.

იტალიელებთან შეხვედრაში 58 წლის პეტკოვიჩს არ ეყოლება წამყვანი ნახევარმცველები, დეიან სტანკოვიჩი და ზვონიმირ ვუკიჩი, რომლებიც დისკვალიფიცირებულნი გახლავან, ხოლო დარკო კოვაჩევიჩი ტრავმის გამო იჯდება ტრიბუნაზე.

სტანკოვიჩს დ ვუკიჩს ბელგრადის „პარტიზანის“ წყვილი, საშა ილიჩი და იგორ დულიაი შეცვლის, ხოლო წინ, სავარაუდოდ, მატეა კეჟმანის და სავო მილოშევიჩის წყვილს ათამაშებენ.

პაპუნა კედია

დეიან სტანკოვიჩი

რობერტ ერნშოუს შოუ

უელსი — ფინეთი

ერნშოუ ანუ სამი ქულა

უელსის ნაკრებს უპირველესად ფსიქოლოგიური ბარიერი აქვს გადასალახი — იტალიისგან შაბათს ნაწვნეი 0:4-ის გამო არ უნდა წახდეს და ამდენი ხნის ნაღვაწი წყალს არ უნდა გაატანოს. ფინეთის ძლევით მარკ ჰიუზის ქვეშევრდომებს მეორე ადგილზე, ანუ პლეი ოფში გასვლის შანსი შეუნარჩუნდებათ.

ამდენი ხნის ნაღვაწი, რომ ვთქვით ზედიზედ ოთხ მოგებას ვგულისხმობთ, მის შემდეგ კი უელსელებმა ორი მატჩი წაგეს. დღეს საქმე ასეა: დარჩენილ ორ შეხვედრაში სამი ქულა მაინც უნდა მოიპოვონ.

მაგრამ დღეს უელსს იტალიელებთან შეხვედრაში გაფრთხილებულები, რობი სევიჯი, მარკ დილანი და კრეიგ ბელამი არ ეყოლება. ეს ცხადია, სერიოზული დანაკლისია, თუმცა „კარდიფ სიტის“ წევრი რობერტ ერნშოუ ამბობს, რომ ეროვნულ ნაკრებს საუკეთესოთა არყოფნას არ აგრძნობინებს.

ერნშოუ კარდიფის „მილენიუმზე“ ბელამის შეცვლის. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხბურთელი იღბლიანი ადამიანია, რაც სტატისტიკურად დასტურდება: მისი მონაწილეობით გუნდს მშობლიური სარბიელი ერთ შეხვედრაშიც არ დაუტოვებია გამარჯვების გარეშე. ერთი სიტყვით, თუ ნიშნების მიხედვით ვიმსჯელებთ, რობერტ ერნშოუს გამოჩენა ავტომატურად ნიშნავს ფინელების დამარცხებას.

„რამდენჯერაც კი შევდგი ამ მინდორზე ფეხი, იმდენჯერ დიდებული საქმე გამოვიდა — ამბობს 22 წლის ფეხბურთელი — ეს მოედანი ჩემთვის იღბლიანია და ვიმედოვნებ, რომ ოთხშაბათსაც იგივე განმეორდება. აქ ჩინებული გოლები გამიტანია, რასაც სიამოვნებით გავიმეორებ, თუმცა, მთავარი, რასაკვირველია, გამარჯვებაა“.

„მილენიუმი“ 72 500 ადგილიანი სტადიონია, რომელზეც ერნშოუმ პირველად გერმანელების წინააღმდეგ, მაისში შედგა ფეხი. შედგა და გოლიც შეაგდო.

ამას მოჰყვა დიდებული გოლი ბოსნიელთა კარში, ხოლო საკლუბო ამბებს, თქვენი ნებართვით, აქ აღარ ჩავრთავთ — ისე კი იცოდეთ, რომ იღბალი ერნშოუსთვის ყველგან იღბალია.

მაგრამ ის მეტოქეს ალმაცერად არ უყურებს:

„ფინელებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, მასში მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ და ეჭვი არ არის, კარდიფში ჩვენს დასამარცხებლად ჩამოდიან. იტალიაში წაგებისგან რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოვერკვათ“.

უელსელთა და ფინელთა შეხვედრის სახალისო მომენტი კი ის გახლავთ, რომ ორივე კარში ინგლისური „საუთჰემპტონის“ მეკარე იდგება — მასპინძლების გოლკიპერია პოლ ჯონსი, სტუმრებისა ანტი ნიემი.

სახალისო დამთხვევაა, სწორედ „მილენიუმის“ სტადიონზე ჩატარდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი, რომელშიც „საუთჰემპტონი“ მონაწილეობდა და ნიემი რომ დაშავდა, იგი ჯონსმა შეცვალა — აქამდე ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალის ისტორიაში მეკარე არ შეცვლილა.

პაპუნა კედია

იტალია	6	4	1	1	12:3	13
უელსი	6	4	0	2	10:6	12
ფინეთი	7	3	0	4	8:9	9
სერბეთი	6	2	2	2	7:8	8
აზერბაიჯანი	7	1	1	5	5:16	4

11 ოქტომბერი

იტალია — აზერბაიჯანი

უელსი — სერბეთი

ისტორიული გამარჯვება

სან მარინომ დამატებით დროში მოიგო

გასულ უძმეებზე შვედეთის 21-წლამდელთა ნაკრებმა სან-მარინოელ თანატოლებს უმასპინძლა. სტუმრებმა, ჯგუფში მანამდე თამაში რომ არ მოეგოთ, სკანდინავიელები 3:0(!) დაამარცხეს და გამარჯვება დააჭაშნიკეს. ყველაფერი ეს მატჩის შემდეგ და უეფას დახმარებით მოხდა.

არადა მატჩი შვედებმა მოიგეს. მეტოქეს ექვსი უპასუხო გოლი მიართვეს, მაგრამ უეფას დელეგატმა მასპინძელთა შემადგენლობაში ორი ისეთი ფეხბურთელი აღმოაჩინა, რომლებსაც თამაშის უფლება არ ჰქონდათ.

საინტერესოა ამ ფეხბურთელთა გვარები, რადგან ერთი შტეფან იშიზაკი გახლავთ, მეორე ბაბის სტეფანიდისი. პირველი ალბათ იაპონელით ემიგრანტის შთამომავალია, მეორე — ბერძნისა. ისინი დისკვალიფიცირებულნი იყვნენ და განაცხადში მათი შეყვანა არ შეიძლებოდა. სტეფანიდისმა ითამაშა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ იშიზაკიმ კიდეც ითამაშა და მეოთხე გოლიც გაიტანა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სულ ტყუილად დახარჯულა.

ორივეს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, ხოლო შვედეთის ფეხბურთის ფედერაციას 1950 ევრო აართვეს.



შტეფან იშიზაკი

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით



ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

ჩელსი მანჩესტერს მიადგა

აბრამოვიჩმა კინიონი წაიყვანა

ახალ აღმასრულებელს ერიქსონი დაავალეს

„იუნაიტედი“, ბუნებრივია, გაცოფდა და ყოფილ შეფს ენაზე კბილის დაჭერის ქალალდზე მოაწერინა ხელი — უფლება არ აქვს მანჩსტერული ამბები მოყვეს. გარდა ამისა, კინიონი მანჩესტერული ბიზნესიდანაც გააძევეს.

მაგრამ... კინიონის ძალა მისი გაქნილობა და ჭკუაა და არა საიდუმლოთა ცოდნა ან ძველი ბიზნესი. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ჩელსიმ“ შეიძინა ადამიანი, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ 120 მილიონი გარვანქის ხელშეკრულებები აფორმებინა ბოლო წლების განმავლობაში. იგი გახლდათ ერთ-ერთი მთავარი გმირი ამ პერიოდის ყველა ჩვენთვის ცნობილი ტრანსფერისა და შესაბამისად, ძალიან კარგად მოეხსენება რა და როგორ უნდა უთხრას, მაგალითად, ვან ნისტელროის, ჰოლანდიელმა მანჩესტერში ქუდი რომ დაიხუროს და ლონდონში მოიხადოს.

იგივე კინიონი დევიდ ბექემის მეგობარიცაა და რამე რომ იყოს, ინგლისის ნაკრების კაპიტანს ციმ-ციმ დააბრუნებს პრემიერლიგაში, ოღონდ არა „მანჩესტერში“, ბუნებრივია.

მაგრამ, ბექემი ბექემად და თან ის ჯერჯერობით, მადრიდში ცუდად არ გრძნობს თავს. აი, რაც შეეხება იმას, რატომ ავიჩემეთ ეს ვან ნისტელროი, მოგახსენებთ, რომ ვან ნისტელროი თანაგუნდელთა შორის ყველაზე დაბალ ხელფასს იღებს. მისი ყოველკვირეული გასამრჯელო როი კინის 92 ათასის ნახევარია.

„ჩელსის“ მწვრთნელმა, კლაუდიო რანიერიმ ბრძანა: „უნდა ვალიარო, რომ ბოლო ხანებში გამიხშირდა დღეები, როდესაც დაბნეული ვარ. არასდროს მყოლია გუნდში ამდენი ვარსკვლავი, თუმცა ვატყობ, რომ ურთულესი დროება ჯერ წინაა — დიდ ფეხბურთელთა ეს წარმოუდგენელი ჯგუფი გუნდად უნდა დავალაგოთ“.





რომან აბრამოვიჩმა პიტერ კინიონი ალექს ფერგიუსონს წაგვარა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ შიშობს, რომ პიტერ კინიონი მალე „ოლდ ტრეფორდზე“ რუუდ ვან ნისტელროის და მსგავსი ვარსკვლავების მოსაპარად დაბრუნდება.

ვინ არის კინიონი? ცხადია, ეს კითხვა არავის დაუსვამს, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რომ პიტერ კინიონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი... იყო! ახლა იგი „ჩელსის“ აღმასრულებელი შეფია.

რატომ? ცხადია, არც ეს კითხვა დაუსვამს ვინმეს, რადგან აშკარაა რატომაც: ჩუკოტკის გუბერნატორმა, რომან აბრამოვიჩმა კინიონს ხუთ წელიწადში ხუთი მილიონი დაუდო.

კინიონმა რანიერის ამ დაბნეულობის დაძლევაში უნდა შეუწყოს ხელი ან... მის მაგივრად სხვა მწვრთნელი მიიყვანოს. მაგალითად, ინგლისის ნაკრების თავკაცი სვენ გორან ერიკსონი, რომლის გადაბირებაც, როგორც ამბობენ, გუბერნატორ აბრამოვიჩს, უპირველეს ყოვლისა დაუვალებია კინიონისთვის.

მაგრამ ამხელა ხმაური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ ვარსკვლავ, პოლ პარკერზე, მაინც-დამაინც დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს:

„ეჭვი არ არის, რომ კინიონის ლონდონში წასვლა მანჩესტერელთათვის დიდი დანაკლისია, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ეს მედლის ერთი მხარეა. მინდა მოგახსენოთ, რომ „იუნაიტედი“ სტაბილური, ვეებერთელა გემია, მაშინ, როდესაც „ჩელსი“ ამწუთას ახირებაა და მეტი არაფერი. აბრამოვიჩს რამე რომ არ მოეწონოს, ნებისმიერ წუთას წავა და ლონდონელებიც ხახამშრალნი დარჩებიან“.

არტურ ალბისტონი, კიდევ ერთი ყოფილი მანჩესტერელი: „ვეჭვობ, ქომაგებს კინიონის წასვლა ეწყინოთ, რადგან ის ცენტრფორვარდი არ არის, მის წასვლაზე გაცილებით მნიშვნელოვანი დევიდ ბექემის და კარლუშ კეირუშის წასვლა გახლდათ. „იუნაიტედი“ კარგად ორგანიზებული კლუბია და თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ამიტომ პიტერისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, აქ არაფერი დაკნინდება“.

ყოფილი მწვრთნელი, უილფ მაკგინესი:

„ხალხი ერთგულებაზე ლაპარაკობს ბევრს, მაგარმ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს პიტერის სამუშაოა. კლუბს კი მის გარეშეც შეუძლია ცხოვრება და სათავეშიც ძლიერი პიროვნება, ფერგი ჰყავს“.

ერთი სიტყვით, განწყობილება და შეხედულება მრავალნაირია, თუმც როდესაც „მანჩესტერის“ ქომაგებს კინიონის ლანძღვა მოუნდებათ ყოველ შემთხვევაში გაიხსენონ, რომ ბოლო სამ წელიწადში ამ კაცმა მათ კლუბს 400 მილიონი გირვანქა მოაგებინა.

პაპუნა კედია

მწვრთნელის ხვედრი ჰიცფელდისთვის გაუძელი მეოთხედს

54 წლის მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდს საკლუბო დონეზე ყველაფერი მოუგია, თანაც სხვადასხვა გუნდებში — „დორტმუნდსა“ და „ბაიერნში“. მიუნხენის „ბაიერნთან“ ჰიცფელდს კონტრაქტი 2005 წლამდე აკავშირებს, თუმც მწვრთნელი ამაზე თავისებურად საუბრობს... მოკლედ, ინტერვიუ ბაიერნელთა დამრიგებელთან კლუბის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, რომელსაც შემოკლებული ვარიანტით გთავაზობთ

— თუმც სეზონი ახალი დაწყებულია, როგორ შეაფასებდით მას?

— ძალიან ადრეა რამის თქმა — სეზონის მეოთხედი მაინც უნდა იყოს მოლეული. მაგრამ ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ და საჭირო ქულებიც მოვაქუჩეთ ბუნდესლიგაში. მომავალი ამოცანებია — წარმატებულად ვითამაშოთ ვოლფსბურგში, კარგი სტარტი ჩემპიონთა ლიგაში და მერე უნდა გავილაღოთ ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც „ლევერკუზენს“ ვუმასპინძლებთ — ეს გამოცდის კვირა იქნება ჩემი გუნდისთვის.

— ჩემპიონთა ლიგის დაწყებას მოუთმენლად ელით? წინა სეზონში ამ ტურნირზე ხომ ჩაფლავდით...

— ჩემპიონთა ლიგის დაწყებას მართლაც მოუთმენლად ველი, მღელვარება დღითიდღე მატულობს.

— თქვენს მეტოქეებს როგორ შეაფასებდით?

— ისინი მიმზიდველად გამოიყურებიან, განსაკუთრებით ჯოვანი ელბერის „ლიონი“. ეს ფაქტორი ფანებს სტადიონზე მოიყვანს. „ლიონი“ კარგად ორგანიზებული და ტექნიკურად სრულყოფილი გუნდია.

— ჩემპიონთა ლიგას „სელტიკთან“ მატჩით იწყებთ...

— ბოლო წლებში „სელტიკმა“ ევროსარბიელზე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ჰენრიკ ლარსონს ზედმიწევნით სწრაფი კონტრშეტევების ფორვარდია, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ვფიქრობ, გლაზგოში თამაშზე არაჩვეულებრივი ატმოსფერო იქნება, ემოციების ფრქვევა.

— „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ლიგის მოგების ფავორიტად თქვენ დაგასახელათ...

— ეს სიტყვების თამაშია, მაგრამ თან იმაზე მიუთითებს, თუ რა დიდი პატივით ეპყრობიან „ბაიერნს“ ევროპაში.

— ბუნდესლიგას დავუბრუნდეთ. „დორტმუნდი“ ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა და როგორ ფიქრობთ, ეს გუნდი იქნება თქვენი მთავარი მეტოქე გერმანიის ჩემპიონობისთვის?

— „დორტმუნდს“ ყოველთვის ძალიან დიდი სერიოზულობით განვიხილავდით და ახლაც ასეა — ეს გუნდი ალბათ ჩვენი უმთავრესი მეტოქე იქნება. „დორტმუნდს“ აქვს ბუნდესლიგის მოგების პოტენციალი.

— 2005 წლიდან „ბაიერნი“ თავის ახალ სტადიონზე, „ალიანზ არენაზე“ ითამაშებს — ოტმარ ჰიცფელდი მაშინაც იქნება „ბაიერნის“ მწვრთნელი?

— ეს ჯერ კიდევ არ ვიცი. „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2005 წლის ზაფხულში მეწურება, მაგრამ არ მიყვარს წინასწარმეტყველებანი. წინასწარ, თანაც ასე ადრიანად, არაფერი არ უნდა დაგეგმო, განსკუთრებით მაშინ, როცა „ბაიერნის“ მწვრთნელი ხარ. ხომ ნახეთ, რა მოხდა წინა სეზონში — მასმედიამ პრაქტიკულად ერთი ხელის მოსმით გამომიძებნა შემცვლელი. მე ყოველთვის ვამბობ, კონცენტრირებული ვარ იმაზე, რომ სეზონის ყოველი მეოთხედი გავძლო მწვრთნელად.

— მაგრამ ახალი სტადიონით ალბათ კარგად ისიამოვნებდით?

— თქმა არ უნდა, „ალიანზ არენა“ დიდი გამოწვევაა. უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა სიტუაცია იქნება იქ, რაღაც ისეთი, „შალკესთან“ და „დორტმუნდთან“ სტუმრობისას რომ არის. არაჩვეულებრივი იქნება ასეთი რამის განცდა შინ... თუმც, როგორც ვთქვი, არასდროს ვწინასწარმეტყველებ.

ცოლებო, მიხედეთ ქმრებს!

ჯორჯ ბესტი და მისი მეუღლე ალექსი სასტუმროს ოთახში ჩაკეტილან და ოჯახის პრობლემებზე ულაპარაკიათ — ასე იუწყება „სანი“, ინგლისური გაზეთი. 57 წლის ლოთსა და მექალთანეს რომ მიჰყვებოდა, 31 წლის ალექსმა კარგად იცოდა რა ნაბიჯსაც დგამდა. ამიტომ ორდღიანი განცალკევება რომ დასჭირდებოდა, პრინციპში უნდა სცოდნოდა.

სასტუმრო, რომელშიც წყვილი გაწმარტოვდა, სადღაც ლიპჩუკთან ყოფილა, „ჩემპნიზ ფორესტ მირი“ ჰქვია და ნომერი 300 გირვანქიანი ჰქონია.

სასტუმროს პატრონი სტივენ პარდუ „ალექსმა რაღაც-რაღაცეების მოგვარება სცადა. ის ყოველთვის ამბობდა, რომ ისინი ნებისმიერ სირთულეს დაძლევენ“.

ორშაბათ დილას ალექსი სამსახურში გავარდნილა — ITV1-ზე, „დილა მშვიდობისას“ მგვარ გადაცემის წამყვანი გამხდარა.

ალექსი ჯორჯის ამასწინდელ გამოთრობას (არადა ღვიძლი აქვს გამოცვლილი) და ვიღაც ქერა ქალებთან დანახვას აუღელვებია. ამბობენ, ქმრის ორდღიანმა დამარტოხელებამ გაუმართლაო.

რა ენაზე ვილაპარაკოთ?

ჰოლიგლოტ რაიკარდის პოლიტიკა



ფრანკ რაიკარდი ესპანურ პრიმერასა თუ სხვა ნებისმიერ ტურნირში „ბარსელონას“ გამარჯვებისთვის შეუპოვრად იბრძოლებს. მისი მიზანი ახალ გუნდთან ერთად ახალი დიდი ჯილდოების მოპოვებაა და ამის სახალხოდ გაჟღერება განა მარტო მშობლიურ ჰოლანდიურ ენაზე შეუძლია. „ბარსას“ თავკაცმა კატალონიაში მასთან სასაუბროდ ჩასული მადრიდული „ასის“ ჟურნალისტები მრავალი ევროპული ენის ცოდნითაც გააკვირვა

— თქვენ ამბობთ, რომ გინდათ ინტერვიუ ესპანურად წარიმართოს. ანუ რა გამოდის — ესპანურად ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხზე თავისუფლად შეგიძლიათ ლაპარაკი?

— რა თქმა უნდა. და გაითვალისწინეთ, არა მხოლოდ ესპანურად.

— სხვა უცხო ენებიც იცით?

— ჰოლანდიურის გარდა, თავისუფლად ვსაუბრობ ინგლისურად, იტალიურად და გერმანულად. შემიძლია, ფრანგულადაც გავიდე იოლად თარჯიმნის გარეშე. ახლა, როგორც „ბარსას“ დამრიგებელი, კატალონიურს ვსწავლობ. ეს ფეხბურთელებთან და გულშემატკივრებთან ურთიერთობაში უდიდეს დახმარებას გამიწევს.

— ვიდრე „ბარსელონასა“ დ სხვა მთავარ საქმეებზე გადავიდოდეთ, პირველად „იტალიურ“ შეკითხვაზე მიპასუხეთ: თქვენი დროის „მილანი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. რატომ ვერ შეძლო არიგო საკიმ საკლუბო დონეზე მიღწეული წარმატება იტალიის ნაკრებშიც გაემეორებინა?

— მოდით, იტალიის მაშინდელი ნაკრების ჩავარდნაში პასუხისმგებლობას მარტო საკის ნუ დავაკისრებთ. მან ოთხი წლის დაძაბული შრომის შემდეგ დიდი „მილანი“ შექმნა. არიგოს დამსახურებაა, რომ იტალიური ფეხბურთი ახალი, შემტევი სტილით გამდიდრდა. თან, არ დაგავიწყდეთ, ჩვენი გუნდი წარმატებულ იერიშებს დაცვაში კარგად თამაშსაც მშვენივრად უთავსებდა. „მილანის“ ფეხბურთელებს მწვრთნელის სასარგებლო მითითებების შესრულება არ ეზარებოდათ. აი, ნაკრებში კი სულ სხვანაირად იყო საქმე. საკის განმგებლობაში მყოფ „სკუადრა აძურას“ დროისთვის შესაბამისი არც ოსტატობა აღმოჩნდა და არც დისციპლინა. მარტო ჩვენი დამრიგებელი იქ ვერაფერს გააკეთებდა.

— „ბარსაში“ თქვენს პრეზენტაციაზე გამუდმებით საუბრობდით გუნდში ძლიერი და ორგანიზებული მუშაობის საჭიროებაზე. ამ ინტერვიუშიც „მილანელთა“ მუყაითი გარჯა ახსენეთ. ნუთუ ფრანკ რაიკარდისთვის შრომა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ტალანტი?

— ეგ ორი მცნება უერთმანეთოდ ვერ წარმომიდგენი მე უფრო შრომისა და ბუნებრივი ნიჭის მომგებიან სინთეზს ვარჩევდი. ტალანტის გარეშე „ბარსელონაში“ თამაში არ შეიძლება, მაგრამ ასევე დაუშვებელია, რომ გუნდის ცალკეული ფეხბურთელები საერთო ინტერესების გარეთ დარჩნენ. დიდი ჯილდოებისთვის ყველამ ერთნაირად უნდა იშრომოს და იბრძოლოს.

— ამას წინათ, ერთ-ერთ კატალონიურ გაზეთში იოჰან კრუიფმა აღნიშნა, რომ ახლანდელი „ბარსელონა“ ჯერ ზრდის პროცესშია. რას იტყვით ამის შესახებ?

— ჩემი ძირითადი და უპირველესი მოვალეობა აქაურ ფეხბურთელებთან ნაყოფიერი მუშაობა და კარგი გუნდის ჩამოყალიბებაა. მართლაც, ახლა ბევრ რამეს ეყრება საფუძველი, რისი წარმატებით განვითარების შემთხვევაშიც ნებისმიერ კლუბს უშიშრად შეეკინებით. ბუნებრივია, ვისაც „ბარსაზე“ გული შესტკივა, მის შესახებ საკუთარ აზრს გამოთქვამს. მათ შორის იოჰან კრუიფიცაა და უბრალო ხალხიც. ჩვენი თამაშით „ბარსელონაზე“ შეყვარებული ინჩასების გახარება გვმართებს.

— კრუიფი ძალიან გაქებთ. თქვენი დანიშვნისას ხუან ლაპორტას ბანაკი ალბათ მის რჩევებსაც გითვალისწინებდა...

— შეიძლება. თუმცა მე ამ რჩევის შესახებ არაფერი მსმენია.

— საკმაოდ ხანგრძლივი კონტრაქტი გაქვთ. არადა, „ბარსელონაში“ ბოლო რამდენიმე მწვრთნელი ოდენ თითო-ოროლა თვით ჩერდებოდა. თქვენი ოთხწლიანი ხელშეკრულება ფრიად უცნაურად გამოიყურება...

— გუნდის დღევანდელი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, წამგებიანი იქნებოდა, თუ პრეზიდენტი ლაპორტა რომელიმე „დროებით“ მწვრთნელს მოიყვანდა. ალბათ გგონიათ, რომ ეს ოთხი სეზონი ჩემთვის გულდაჯერებულობის და მშვიდად ყოფნის გარანტიაა. ცდებით — წინ რთული ბრძოლები მელის.

— „ბარსას“ წინა დამრიგებელ რატომირ ანტიჩთან თუ გაქვთ რაიმე კონტაქტი?

— არავითარი. ვფიქრობ, ეს ახლა საჭიროებას არ წარმოადგენს, რადგან კატალონიური შიდა სამზარეულოს ამბები ჩიკი ბეგირისტაინმაც ანტიჩზე არანაკლებად იცის. მისგან ბევრ სასარგებლო ინფორმაციას ვიღებ.

— რონალდინიო თავის საუკეთესო ფორმაში იმყოფება თუ კიდევ სჭირდება სწავლა-დახვეწა?

— ჯერ ახალგაზრდაა და დროთა განმავლობაში უფრო უკეთესადაც ითამაშებს. თუმცა „ბარსას“ ფანატებისთვის ამაზე უკეთესად ბურთაობა ალბათ წარმოუდგენელია. შესანიშნავი ტექნიკა, გოლის ალღო, საჭირო პასები... ამ ბიჭს ხალხისთვის სიხარული მოაქვს. მე მისი ახლანდელი ფორმაც სავსებით მაკმაყოფილებს.

— დაბოლოს, თქვენ ახლა „კატალონიურ ბანაკში“ იმყოფებით და, ფრანკ რაიკარდის ყველაზე დიდი მეტოქე კარლუშ კეირუშის მადრიდის „რეალი“ იქნება. სახელოვანი ისტორიის მქონე სამეფო გუნდის შესახებ რას იტყოდით?

— კარგის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ისტორია მაინც წარსულია და ხშირ შემთხვევაში დღევანდელობას არ ეთანხმება. კარგია, როცა „რეალისთანა“ ღირსეული მოწინააღმდეგე გვყავს. ეს ჩვენ ბრძოლისთვის დამატებით სტიმულს გვანიჭებს.

ჯენარო გატუზო „მილანისთვის“ თავდადებული კაცია

მიეცით მალდინის!

გატუზომ ჯაჯა არ გადაამლაშა

„მილანის“ ენერგიული ნახევარმცველი ჯენარო გატუზო, თურმე ცხოვრებაშიც ისეთივე ხასიათისაა, როგორც მოედანზე. მას მერე, რაც „შავ-წითლებმა“ ჩემპიონთა ლიგა მოიგეს, კვირა არ გავა, რომ „მარტორქამ“ (გატუზოს მეტსახელია) კლუბში მიმდინარე პროცესებზე და თანაგუნდელებზე თავისი აზრი არ გამოთქვას.

გატუზოს თქმით, წლეულს „ოქროს ბურთი“ აუცილებლად პაოლო მალდინის უნდა გადაეცეს. ეს უკანასკნელი მართლც ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და უდავოა, რომ გასულ სეზონში „მილანის“ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ძალიან გაუჭირდება ესოდენ მნიშვნელოვანი ალიარების მოპოვება. აქვე შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ 34 წლის მალდინის ლენარტ იუჰანსონმა თავად გადასცა უეფას პრეზიდენტის საპატიო ჯილდო და ასე დაეფასა ვეტერანი იტალიელის ღვაწლი, რომელიც პირველი მოქმედი მოთამაშეა მათ შორის, ვისთვისაც ეს ტიტული მიუნიჭებიათ.

ჯენარო გატუზო: „პოლო იმსახურებს „ოქროს ბურთს“. ეს ჯილდო რამდენიმე წლის წინ ფრანკო ბარეზის არ გადასცეს, ახლა კი შეცდომის გამოსწორების დროა. თუ თვალს გადავავლებთ მის განვლილ კარიერას და გასულ სეზონს, დაინახავთ ბრწყინვალე ფეხბურთელს, რომელმაც მრავალი ტიტული მოიპოვა და მიხვდებით, რომ იგი უპირობოდ უნდა აღიარონ „ოქროს ბურთის“ ლაურეატად“.

გარდა ამისა, გატუზომ „მილანის“ ბრაზილიელ ახალწვეულ კაკაზე ილაპარაკა და აღნიშნა: „ადრეა მისი ფენომენად შერაცხვა, მაგრამ უდავოა, რომ იგი უდიდესი პოტენციალის მქონე ფეხბურთელია და თუ ყველაფერს სწორად გააკეთებს, მისგან ბრწყინვალე მოთამაშე დადგება“.

უშუალოდ „მილნზე“ კი „მარტორქას“ კომენტარი ასეთი იყო: „ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ მოტივაცია დავკარგეთ, საფუძველმოკლებულია და სისულელედ მეჩვენება. ჩვენ ისევ მშივრები ვართ და კვლავ გამარჯვება გვინდა. ახლა სკუდეტოს მოგებისთვის ყველაზე შესაფერისი დროა“.

გიორგი ძაძაბაძე

საჭირო კაცი

უკვე დახურულ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მილანის „ინტერს“ არაერთმა კლუბმა მიმართა, რომლებსაც ფაბიო კანავაროს გადაბირება ეწადათ, მაგრამ იტალიის ვიცე-ჩემპიონმა ყველა უარით გაისტუმრა. მითქმა-მოთქმა მიანც გაგრძელდა, „სკუადრა აძურას“ კაპიტანს ექტორ რაულ კუპერთან უთანხმოება აქვს და კლუბს დატოვებსო. ამას ისიც ემატებოდა, რომ კანავარო ცუდ სათამაშო ფორმაში იყო.

ახლა, როდესაც სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და კანავაროც ძველებურად ათამაშდა, წესით ყველაფერი უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ ჭორები არ წყდება და მსოფლიოს ერთი საუკეთესო მცველი იძულებულია, ახსნა-განმარტებები აკეთოს.

ფაბიო კანავარო: „ჩემსა და მწვრთნელს შორის არავითარი უთანხმოება არ არის. გუნდს მრავალი შემოთავაზება ჰქონდა და შეეძლო ჩემი გაყიდვა, მაგრამ ასე არ მოიქცა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ინტერს“ ვჭირდები, ეს ახალი სეზონის მაღალ დონეზე ჩასატარებლად დამატებით სტიმულს მაძლევს.“

მერე კანავარომ „ინტერის“ სიძლიერეზე და იტალიის ნაკრებში „შავ-ლურჯების“ წევრთა დიდ მნიშვნელობაზე ილაპარაკა: „ახლახან დაწყებულ სეზონს იმედის თვალით ვუყურებთ და მზად ვართ საბრძოლველად. პირველ ტურში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ბედმა კინალამ ზურგი გვაქცია, თუმც საბოლოოდ მაინც მოვიგეთ, რამაც ჩვენზე ძალიან დადებითად იმოქმედა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მსიამოვნებს ეროვნულ ნაკრებში „ინტერის“ ამდენი მოთამაშის ნახვა, თანაც წამყვან პოზიციებზე. ვიერი და კრისტიანო ძანეტი ტრავმირებულები იყვნენ და მათი თამაში სათუო იყო, მაგრამ საბედნიეროდ, უელსთან მატჩი ორივემ ჩაატარა, მართალია, ვიერის გოლი არ გაუტანია, მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა და ინძაგის პირველი გოლიც მისი დამსახურებაა. დიდებულად გაისარჯა კრისტიანო ძანეტიც, რომელიც ვიერის დარად ბოლომდე არ გახლდათ მომჯობინებული. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ „ინტერს“ ჩინებული ფეხბურთელები ჰყავს და სერიოზულ ძალას წარმოადგენს“.

გიორგი ძაძაბაძე

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). V ტური

10 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.30	120	დინამო-ვუპერტალი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46

იტალია. სერია B. III ტური

11 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23.30	156	ალბინოლეფე-ტერნანა	2,5	2,6	3,0	1,27	1,36	1,39
23.30	157	აველინო-პალერმო	2,9	2,8	2,45	1,42	1,32	1,3
23.30	158	ბარი-ტორინო	2,4	2,7	3,1	1,27	1,35	1,44
23.30	159	კალიარი-პესკარა	1,35	3,8	8,0	1	1,15	2,57
23.30	160	კომო-კატანია	1,65	3,2	5,3	1,08	1,25	1,99
23.30	161	ფიორენტინა-ტრიესტინა	1,9	2,9	4,2	1,14	1,3	1,71
23.30	162	ჯენოა-ლივორნო	2,3	2,7	3,3	1,24	1,35	1,48
23.30	163	მესინა-ნაპოლი	2,35	2,8	3,1	1,27	1,33	1,47
23.30	164	პიაჩენცა-ატალანტა	2,2	2,7	3,5	1,21	1,35	1,52
23.30	165	სალერნიტანა-ასკოლი	2,2	2,7	3,5	1,21	1,35	1,52
23.30	166	ვენეცია-ვიჩენცა	2,2	2,7	3,5	1,21	1,35	1,52
23.30	167	ვერონა-ტრევიზო	1,75	2,9	5,0	1,09	1,29	1,83

ავსტრია

ბუნდესლიგა. VIII ტური

10 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	312	აუსტრია-პაშინგი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	313	აუსტრია-პაშინგი 0:1	2,05	3,2	2,45			
22.30	314	მატერსბურგი-ზალცბურგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8

შვედეთი.

სუპერეტა. XXIII ტური

11 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	380	ასირისკა-ფრიოლუნდა	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4

ისლანდია.

თასი. 1/2 ფინალი

10 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
00.40	617	პაფნარფიორდური-რეიკიავიკი	2,6	3,3	2,3	1,45	1,22	1,35

მჩ შესარჩევი მატჩები

10 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
01.00	623	ბოლივია-კოლუმბია	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
03.45	624	პარაგვაი-ურუგვაი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
04.45	625	ბრაზილია-ეკვადორი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	626	ბრაზილია-ეკვადორი 0:1	1,4	3,8	4,2			

ევრო 2004 შესარჩევი მატჩები

10 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	627	ისრაელი-მალტა	1,05	9,0	25,0	1	1	6,61
	628	ისრაელი-მალტა 0:2	2,0	4,6	2,0			
20.30	629	ანდორა-ბულგარეთი	25,0	9,0	1,05	6,61	1	1
	630	ანდორა-ბულგარეთი 2:0	2,0	4,6	2,0			
21.00	631	მოლდოვა-ბელარუსი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
21.00	632	რუსეთი-შვეიცარია	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
22.15	633	დანია-რუმინეთი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
22.30	634	ფარერები-ლიტვა	3,6	3,2	1,95	1,69	1,26	1,21
23.00	635	ალბანეთი-საქართველო	2,1	3,5	2,0	1,31	1,02	1,27
23.00	636	ლუქსემბურგი-ბოსნია	14,0	6,0	1,1	4,19	1,01	1
	637	ლუქსემბურგი-ბოსნია 1:0	4,2	4,2	1,35			
23.00	638	ლატვია-უნგრეთი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.15	639	პოლონეთი-შვედეთი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
23.15	640	ჩეხეთი-ჰოლანდია	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
23.15	641	სლოვაკეთი-მაკედონია	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
23.15	642	ბელგია-ხორვატია	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
23.45	643	უელსი-ფინეთი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.45	644	სერბია-იტალია	3,6	3,2	1,95	1,69	1,26	1,21
23.45	645	სლოვენია-საფრანგეთი	4,8	3,1	1,75	1,88	1,28	1,11
23.45	646	გერმანია-შოტლანდია	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	647	გერმანია-შოტლანდია 0:1	1,9	3,2	2,7			
24.00	648	ჩრდ.ირლანდია-სომხეთი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
24.00	649	ინგლისი-ლიხტენშტაინი	1,01	9,0	50,0	1	1	7,62
	650	ინგლისი-ლიხტენშტაინი 0:4	1,95	5,0	1,95			
00.45	651	ესპანეთი-უკრაინა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	652	ესპანეთი-უკრაინა 0:1	1,65	3,3	3,3			

ევრო 2004 შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)

10 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00	674	მოლდოვა(21)-ბელარუსი(21)	4,4	3,4	1,6	1,91	1,17	1,08
18.00	675	სლოვაკეთი(21)-მაკედონია(21)	1,35	4,0	7,5	1	1,14	2.6
	676	სლოვაკეთი(21)-მაკედონია(21) 0:1	1,95	3,2	2,6			

ამხანაგური მატჩები

10 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	678	ნორვეგია-პორტუგალია	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		კალათბურთი. ეჩ (შვედეთი)						
		10 სექტემბერი						
21.00	1001	საფრანგეთი-რუსეთი	1,4	12,0	2,6	1,25	1	2,13
	1002	საფრანგეთი-რუსეთი 0:5	1,85	10,0	1,85			
24.00	1003	ლიტვა-სერბია	2,0	12,0	1,7	1,71	1	1,48
		11 სექტემბერი						
21.00	1004	ესპანეთი-ისრაელი	1,05	15,0	7,5	1	1	5
	1005	ესპანეთი-ისრაელი 0:12	1,85	10,0	1,85			
24.00	1006	საბერძნეთი-იტალია	1,25	12,0	3,2	1,13	1	2,52
	1007	საბერძნეთი-იტალია 0:6	1,85	10,0	1,85			
		ჰოკეი. რუსეთი						
		10 სექტემბერი						
13.30	1101	ამური-ნეფტეხიმიკი	1,5	5,0	3,8	1,15	1,07	2,15
19.30	1102	ლოკომოტივი-დინამო	1,7	4,8	3,0	1,25	1,08	1,84
19.30	1103	ტორპედო-მაგნიტოგორსკი	2,9	5,0	1,7	1,83	1,07	1,26
19.30	1104	სევერსტალი-ნოვოკუზნეცკი	1,4	5,3	4,4	1,1	1,06	2,4
19.30	1105	აკ-სიბირი	1,7	4,8	3,0	1,25	1,08	1,84
19.30	1106	ცსკა-ვს ბარსი	2,6	4,6	1,85	1,66	1,08	1,31
		11 სექტემბერი						
16.30	1107	ავანგარდი-ხიმიკი	1,2	6,5	6,5	1,01	1,01	3,25
18.30	1108	ლადა-ს.იულაევი	1,4	5,3	4,4	1,1	1,06	2,4
		ჰოკეი. გერმანია						
		11 სექტემბერი						
22.30	1252	მანჰაიმი-ფრანკფურტი	1,45	4,8	4,4	1,11	1,09	2,29
		ფრენბურთი. ეჩ (გერმანია)						
		10 სექტემბერი						
18.00	1501	რუსეთი-პოლანდია	1,15	4,0				
18.00	1502	ჩეხეთი-ესპანეთი	1,5	2,4				
20.30	1503	გერმანია-საფრანგეთი	2,5	1,45				
20.30	1504	ბულგარეთი-პოლონეთი	2,3	1,55				
23.00	1505	სერბია-საბერძნეთი	1,03	9,0				
23.00	1506	სლოვაკეთი-იტალია	10,0	1,02				

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		10 სექტემბერი			
21.00	5502	რუსეთი-შვეიცარია	3,0	2,8	2,0
22.15	5503	დანია-რუმინეთი	3,0	2,8	2,0
23.00	5504	ლატვია-უნგრეთი	3,0	2,8	2,0
23.15	5505	პოლონეთი-შვედეთი	3,0	2,8	2,0
23.15	5506	ჩეხეთი-პოლანდია	3,0	2,8	2,0
23.15	5507	სლოვაკეთი-მაკედონია	3,0	2,8	2,0
23.15	5508	ბელგია-ხორვატია	3,0	2,8	2,0
23.45	5509	უელსი-ფინეთი	3,0	2,8	2,0
23.45	5510	სერბია-იტალია	3,0	2,8	2,0
23.45	5511	სლოვენია-საფრანგეთი	3,0	2,8	2,0
23.45	5512	გერმანია-შოტლანდია	3,0	2,8	2,0
01.00	5513	ბოლივია-კოლუმბია	3,0	2,8	2,0
03.45	5514	პარაგვაი-ურუგვაი	3,0	2,8	2,0

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 სექტემბერი						
21.00	5002	რუსეთი-შვეიცარია	2,2	2,1	5,0	1,07	1,52	1,47
22.15	5003	დანია-რუმინეთი	2,25	2,1	4,8	1,08	1,53	1,46
23.00	5004	ლატვია-უნგრეთი	3,3	2,1	2,9	1,28	1,54	1,21
23.15	5005	პოლონეთი-შვედეთი	2,9	2,05	3,4	1,2	1,56	1,27
23.15	5006	ჩეხეთი-პოლანდია	2,8	2,1	3,4	1,19	1,53	1,29
23.15	5007	სლოვაკეთი-მაკედონია	1,95	2,3	5,3	1,05	1,42	1,6
23.15	5008	ბელგია-ხორვატია	2,45	2,1	4,0	1,13	1,51	1,37
23.45	5009	უელსი-ფინეთი	2,1	2,2	5,0	1,07	1,47	1,52
23.45	5010	სერბია-იტალია	4,2	2,1	2,4	1,4	1,52	1,12
23.45	5011	სლოვენია-საფრანგეთი	5,0	2,15	2,15	1,5	1,5	1,07
23.45	5012	გერმანია-შოტლანდია	1,6	2,6	8,0	1	1,33	1,96
01.00	5013	ბოლივია-კოლუმბია	3,0	2,1	3,2	1,23	1,54	1,26
03.45	5014	პარაგვაი-ურუგვაი	2,6	2,1	3,6	1,16	1,5	1,32

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		10 სექტემბერი									
21.00	5102	რუსეთი-შვეიცარია	2,6	10,0	20,0	3,6	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
22.15	5103	დანია-რუმინეთი	2,7	10,0	20,0	3,8	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
23.00	5104	ლატვია-უნგრეთი	4,0	10,0	20,0	5,0	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
23.15	5105	პოლონეთი-შვედეთი	3,6	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
23.15	5106	ჩეხეთი-პოლანდია	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
23.15	5107	სლოვაკეთი-მაკედონია	2,1	12,0	25,0	3,4	4,8	10,0	20,0	10,0	9,0
23.15	5108	ბელგია-ხორვატია	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	20,0	10,0	5,3
23.45	5109	უელსი-ფინეთი	2,4	10,0	20,0	3,4	4,6	8,0	20,0	10,0	7,0
23.45	5110	სერბია-იტალია	5,3	10,0	20,0	6,5	4,4	3,8	20,0	10,0	2,9
23.45	5111	სლოვენია-საფრანგეთი	7,0	10,0	20,0	9,0	4,4	3,5	20,0	10,0	2,5
23.45	5112	გერმანია-შოტლანდია	1,7	15,0	30,0	3,4	4,8	14,0	25,0	12,0	12,0
01.00	5113	ბოლივია-კოლუმბია	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	5,0	20,0	10,0	4,0
03.45	5114	პარაგვაი-ურუგვაი	3,3	10,0	20,0	4,2	4,4	5,6	20,0	10,0	4,8

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

		9 სექტემბერი		
06.10	5401	ჩილე-პერუ	1,5	2,6
		10 სექტემბერი		
21.00	5402	რუსეთი-შვეიცარია	1,55	2,5
22.15	5403	დანია-რუმინეთი	1,55	2,5
23.00	5404	ლატვია-უნგრეთი	1,95	1,85
23.15	5405	პოლონეთი-შვედეთი	1,85	1,95
23.15	5406	ჩეხეთი-პოლანდია	1,8	2,0
23.15	5407	სლოვაკეთი-მაკედონია	1,3	3,4
23.15	5408	ბელგია-ხორვატია	1,7	2,2
23.45	5409	უელსი-ფინეთი	1,5	2,6
23.45	5410	სერბია-იტალია	2,3	1,65
23.45	5411	სლოვენია-საფრანგეთი	2,5	1,55
23.45	5412	გერმანია-შოტლანდია	1,2	4,0
01.00	5413	ბოლივია-კოლუმბია	1,85	1,95
03.45	5414	პარაგვაი-ურუგვაი	1,75	2,1

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		10 სექტემბერი		
21.00	5202	რუსეთი-შვეიცარია	1,8	1,8
22.15	5203	დანია-რუმინეთი	1,8	1,8
23.00	5204	ლატვია-უნგრეთი	1,75	1,85
23.15	5205	პოლონეთი-შვედეთი	1,7	1,9
23.15	5206	ჩეხეთი-პოლანდია	1,8	1,8
23.15	5207	სლოვაკეთი-მაკედონია	1,9	1,7
23.15	5208	ბელგია-ხორვატია	1,75	1,85
23.45	5209	უელსი-ფინეთი	1,8	1,8
23.45	5210	სერბია-იტალია	1,7	1,9
23.45	5211	სლოვენია-საფრანგეთი	1,75	1,85
23.45	5212	გერმანია-შოტლანდია	1,9	1,7
01.00	5213	ბოლივია-კოლუმბია	1,8	1,8
03.45	5214	პარაგვაი-ურუგვაი	1,8	1,8

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		10 სექტემბერი		
21.00	5302	რუსეთი-შვეიცარია	1,75	1,85
22.15	5303	დანია-რუმინეთი	1,7	1,9
23.00	5304	ლატვია-უნგრეთი	1,7	1,9
23.15	5305	პოლონეთი-შვედეთი	1,7	1,9
23.15	5306	ჩეხეთი-პოლანდია	1,7	1,9
23.15	5307	სლოვაკეთი-მაკედონია	1,7	1,9
23.15	5308	ბელგია-ხორვატია	1,7	1,9
23.45	5309	უელსი-ფინეთი	1,75	1,85
23.45	5310	სერბია-იტალია	1,8	1,8
23.45	5311	სლოვენია-საფრანგეთი	1,75	1,85
23.45	5312	გერმანია-შოტლანდია	1,85	1,75
01.00	5313	ბოლივია-კოლუმბია	1,75	1,85
03.45	5314	პარაგვაი-ურუგვაი	1,7	1,9

კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს

რუსებს სხვისი კოჭი დაუჯდათ

გერმანია დიდი დირეკტორით გავარდა

გუშინწინ სალამოს შვედეთში ისეთი გრგვინვა იყო, სკანდინავიის ნახევარკუნძულს ალბათ ბზარები გაუჩნდა. ევროპის ჩემპიონატმა ძალა მოიკრიბა, ჯგუფებში ნაყოჩაღევნი სამეოთხედფინალოდ დაეტაკნენ ერთმანეთს.

დიდი ბრძოლები იყო, ოთხივე მატჩის ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა. ცრემლი, ტკივილი, იმედგაცრუება, სიხარული... ყველაფერი ეს გუშინწინდელმა თამაშებმა დაიტია. მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი გერმანია საჩემპიონო გზას ჩამოშორდა, იგივე ბედი ეწია შარშანწინდელი ევროპირველობის ფინალისტ თურქეთსაც. ცოცვით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს ჩემპიონი სერბეთი...



სერგეი მონიამ ეს ბურთი ხორვატებს ლახვარივით ჩასცა

რუსეთი 81:77 ხორვატია

15:21, 19:20, 24:20, 23:16

რუსეთი: კარასიოვი (13), ლიხოლიტოვი (8), კუბრაიკოვი, მონია (8), კირილენკო (29), სოლოვიევი, სამოილენკო (2), ხრიაპა (12), პაშუტინი (9), საგრახენკო

ხორვატია: მულაომეროვიჩი (26), ბრკაჩინი (1), გირიჩეკი (5), ზიზიჩი (8), მამიჩი (11); ბაზდარიჩი (2), პოპოვიჩი (7), ნინევიჩი, ბლანინიჩი (4), ბაგარიჩი (13)

რუსებს აღდგომა გაუთენდათ, ბოლო ევროჩემპიონატებში შერცხვენილებმა როგორც იქნა, მიაღწიეს ნატურ მეოთხედფინალს. ნტვ-ს ტელეწამყვანების ღრიანცელისთვის რომ მოგესმინათ, გეგონებოდათ, ეგაა და, რუსეთმა ფინალი მოიგო. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს მართლაც ჰქონდათ ზეიმის საბაბი, მათ თითქმის წაგებული მატჩი სათავისოდ შეაბრუნეს.

დარბაზში შეკრებილი ორი ათასი მაყურებლიდან ორასამდე თუ ქომაგობდა რუსებს. ის ორასიც რუსობის გამო გაჰყვიროდა „რასია, რასია“-ს, თორემ ნეიტრალური გულშემატკივარი ხორვატებისკენ იხრებოდა.

ჩრდილოელებმა უნიათოდ დაიწყეს, ვერც ბურთს ესროდნენ ხეირიანად და საერთოდაც არაფერი გამოსდიოდათ. მარდი ხორვატები კი ყოველმხრივ ავიწროვებდნენ რუსებს და პირველი მეოთხედის მიწურულს 9-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს.

ჭოკხელება ანდრეი კირილენკო საჯარიმო ხაზიდან ვერ არტყამდა მიზანში და, ხორვატების გარემოცვაში რალას იზამდა?! რუსები მთელი თამაში აგებდნენ და ალბათ საბოლოოდ წააგებდნენ კიდეც, მაგრამ ხორვატთა ორლანდოელმა ლიდერმა გორდონ გირიჩეკმა ფეხი ამოიბრუნა და თავისიანებს პირველ ტაიმშივე გამოაკლდა. გირიჩეკის დაშავების შემდეგ რუსები გონს მოეგნენ. კირილენკომაც გაილაღა და თანაბარი ბრძოლაც გაჩაღდა. ორლანდოელის მოედნიდან იძულებითი გასვლის შემდეგ ხორვატული ამქრის ლიდერობა არანაკლებ (თუ მეტად არა) გამოცდილმა დამირ მულაომეროვიჩმა იკისრა, რომელიც თითქმის მარტო ეპაექრებოდა მოგების სუნნაცემ რუსებს.

მულაომეროვიჩი მართლაც შეუდარებელი იყო და უეჭველად მატჩის გმირიც გახდებოდა, რომ არა ერთი საბედისწერო შეცდომა. ბოლოსწინა წუთზე ქულით მოლიდერე ხორვატია უტეევდა და მულაომეროვიჩს ბურთი მანამდე ჩრდილში მყოფმა სერგეი მონიამ აწაპნა. სერიოზამ წარმატებით დააგვირგვინა კონტრშეტევა და რუსები ამ მატჩში პირველად და საბოლოოდ დაწინაურა.

თურქეთი 76:80 სერბეთი

19:15, 19:19, 14:19, 24:27

თურქეთი: თურქოღლუ (11), თურქჯანი (2), არსლანი (9), ქუთლუაი (15), ოქური (20), თუნჩერი (6), ბეკერი (9), ილდირიმი (4), ონანი

სერბეთი: კოტუროვიჩი (10), სტოიაკოვიჩი (10), იარიჩი (18), დრობნიაკი (12), გუროვიჩი (16), ვუკჩევიჩი, ოსტოიჩი (5), ვუიანიჩი (9).

შვედური უმაყურებლობის ფონზე თურქეთ — სერბეთის სამეოთხედფინალო შეტაკებამ საკმაოდ ბევრი ხალხი მიიზიდა. შარშანწინდელი ევროჩემპიონატის ფინალისტებმაც ისეთი ბრძოლა გააჩაღეს, ქომაგს რა მოაწყენდა?! ეგაა, თამაშის შემდეგ თურქი მაყურებელი ცოტა აჯაგრული იყო, მაგრამ ამით რას უშველიდა თავის მარცხნაჭამ ნაკრებს, რომელიც სერბებმა დიდი მონდომებისა და საოცარი ნებისყოფის წყალობით დაამარცხეს.

თავიდანვე დაცვითი თამაში გახურდა, რაშიც მცირე უპირატესობას ბალკანელები ფლობდნენ და დაწინაურდნენ კიდეც დეტროიტელი მეჰმედ ოქური ფარქვეშა ბრძოლებში სერბ მილან გუროვიჩს იოლად სჯობდა, სამაგიეროდ, ჩემპიონთა საკრამენტოელი სნაიპერი პრედრაგ სტოიაკოვიჩი სანამ ჯანსაღად იყო, ბალკანელებს არაფერი გასჭირვებიათ. პეჯამ პირველი მეოთხედის შუაწელში ფეხი იტკინა და მოედანს მხოლოდ ათწუთიანი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა, თუმცა სტოიაკოვიჩი ისე უშიშრად ველარ დარბოდა, ნატკენ ფეხს თუ უფრთხილდებოდა.

თურქებმა სერბთა ლიდერის მოდუნებით ისარგებლეს და თამაში გაათანაბრეს. ის კი არა, მცირეაზიელებმა ერთხანს 9-ქულიანი ლიდერობაც მოიხელთეს, მაგრამ იყოჩაღა მარკო იარიჩმა და თამაშიც ჩვეულ, თანაბრობას რიტმს დაუბრუნდა.

გადამწყვეტ მომენტში ჩემპიონმა მართლაც ჩემპიონური სული გამოავლინა. დროის მოგების მიზნით თურქებმა უამრავი ჯარიმა „აიკიდეს“, მაგრამ სერბებმა ყველა საჯარიმო სროლა ზუსტად შეასრულეს და ტიტულის დასაცავად ბრძოლას კარგ ხასიათზე აგრძელებენ.

სლოვენია 76:78 ისრაელი

28:16, 15:21, 10:23, 23:18

სლოვენია: ლაკოვიჩი (7), გორენცი (21), ნახბარი (14), ტუშეკი (10), ბრეეზჩი (8), პეტროვი,ბილიჩი (1), იურკოვიჩი (10), გოლემაცი (5)

ისრაელი: შარფი (9), შელეფი (3), ბურშტეინი (13), საფარი (8), კოზიკარო (12); ჰალპერინი (1), მიზრაჰი (7), შენფილდი (2), ტაპირო (9), გრინი (14)

შეგვიძლია ასეც ვთქვათ: ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში თელავივის „მაკაბი“ ითამაშებს. რაღა ეს კლუბი და რაღა ისრაელის ნაკრები — ებრაელთა ეროვნულ გუნდში შვიდი მაკაბელი თამაშობს.

ისრაელის ისტორიაში ეს ღირსშესანიშნავი შედეგია, 20 წელია, ებრაელები ევროპის ჩემპიონატზე ასე შორს არ წასულან.

ისრაელმა დიდ ომში დაამარცხა ევროვარსკვლავებით გადაჭედილი სლოვენია, რაც ბებერი ებრაელის, ტალ ბურშტეინის ძალისხმევით მოახერხა. ტალმა საყაიმო ანგარიშისას საკუთარ თავზე აიღო თამაში და მატჩის დამთავრებამდე 2 წამით ადრე საჯარიმო სროლების უფლება მოიპოვა.

არადა, თავიდან საქმეს ისეთი პირი უჩანდა, სამეოთხედფინალო საგზური სლოვენიელებს უნდა რგებოდათ. ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ გიორგი მამაცაშვილის თანაგუნდელი ბორის გორენცი და მანუჩარ მარკოიშვილის “ბენეტონიდან“ შარშან ნბა-ში წასული ბოსტიან ნახბარი იოლად ჯობნიდნენ ებრაელებს და სლოვენიელებსაც კარგა ხანს ულხინდათ. ბალკანელთა ბაირამობამ მესამე მეოთხედამდე გასტანა, სანამ ახლოაღმოსავლელთა მეფარე იანიკ გრინი ათამაშდებოდა.

ბოლო მეოთხედის უკანასკნელ წუთამდე თანაბარი თამაში მიდიოდა, მერე კი, როგორც ვთქვით, ბურშტეინმა იყოჩაღა და ებრაელები ნანატრ მეოთხედფინალში გაიყვანა.

გერმანია 84:86 იტალია

28:19, 23:25, 13:22, 20:20

გერმანია: დემირელი (23), ოკულაია (13), გარისი (4), ფემერლინგი (10), ნოვიცკი (22), ლუტკე, პეშჩი (10), პამანი, არიგბაბუ (2), მარასი.

იტალია: რადულოვიჩი (14), ბაზილე (2), გალანდა (16), ბულერი (17), კიარიგი (3), სორანგა (7), მარკონატო (11), დე პოლი, რიგეტი (11), ლამა, მიანი (5).

ევროპის ჩემპიონატს ემშვიდობება არა მარტო ბებერი კონტინენტის, არამედ ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი დირკ ნოვიცკი, რომელმაც, შარშანდელი მუნდიალის მსგავსად, მხრებზე ვერ აიკიდა გერმანიის ნაკრები და ნახევარფინალამდე ვერ მიათრია. ნახევარფინალი კი არა, ნოვიცკელები ამჯერად მეოთხედფინალშიც კი ვერ გავიდნენ, მათ გზა ჯგუფურ ეტაპზე წაფორხილებულმა იტალიელებმა გადაუღობეს.

შარშან მსოფლიოს ჩემპიონატს ამერიკა რომ მასპინძლობდა, ნოვიცკიმ თავი გაიგიჟა, ტრავმასაშიშ ბრძოლებსაც კი არ ერიდებოდა, ევროპის ჩრდილო კიდეზე კი დირკი რაღაც პასიურობს. ნოვიცკის არც იტალიელებთან გამოუდვია თავი, გერმანელებს სულაც მურათ დემირელი ლიდერობდა.

იტალიას საოადარიგო ატილიო რიგეტიმ გაუმართლა, რომელმაც სამი სამქულიანით დატუქსა გერმანელები და ანგარიში გაათანაბრა. რიგეტის ჩუბინობამ აპენინელების ლიდერები გამოაფხიზლა, მანუჩარ მარკოიშვილის ბენეტონელმა თანაგუნდელმა მასიმო ბულერიმ და ნენად ანზულოვიჩმა ბოლო მეოთხედამდე ორი ქულით დაწინაურეს იტალიელები.

ბოლო ათწუთეულში იტალიას ერთობ გაუმართლა. ყოჩაღი მურათ დემირელი დაშავდა და გერმანია ოდენ ნოვიცკის იმედზეა დარჩა. დირკმა კი გადამწყვეტ მომენტში ვერ ივარგა, საყაიმო ანგარიშისას ბოლო წუთებში საჯარიმოები გააცუდა, შემდეგ კი სამქულიანიც მიაფლანგა.

იტალია მეოთხედფინალში გაძვრა, სადაც ბერძნების მძლავრი ნაკრები ელის.

ირაკლი პერტაია

მეოთხედფინალი სტოკჰოლმი

10 სექტემბერი

საფრანგეთი — რუსეთი

ლიტვა — სერბეთი და ჩერნიგორია

11 სექტემბერი

ესპანეთი — ისრაელი

საბერძნეთი — იტალია



ვერ ინოვიცკა დირკმა (მარჯვნივ) იტალიელებთან

თეთრებს რა უშავთ თუ შავებს უშავთ
ჯიმი და ჟუსტინი: ჯი, ყოჩაღ, მაგრამ

წლის უკანასკნელ სლემტურნირს რეიტინგსიებში საყურადღებო ცვლილებები მოჰყვა — კაცთა ამქარმა მორიგი ყოჩი მიიღო, ქალებისაში კი პირველად გახერხდა ისეთი ვითარება, როცა ნუსხის მეთაური ორი ადგილი თვისტომებს უკავიათ და ისინი ამერიკელები არ არიან.

დიახ, თუკი მდედრიონის სათავეში აქამდე ერთი ქვეყნის ორი წარმომადგენელი მოექცეოდა, ეს ქვეყანა აუცილებლად შეერთებული შტატები იყო. ამდენად — ჟუსტინ ენენ-არდენსა და კიმ კლაისტერსს იმითაც შეუძლიათ იამაყონ, რომ მეორე შიდაეროვნული სლემფინალისა და მეორეევ სლემტიტულის გარდა თავიანთ ციდა ქვეყანას მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოსთან გატოლების საშუალება მისცეს.

ისეთი რამ, რომ რეიტინგსიის პირველი ორი ადგილიდან ერთერთი მაინც ამერიკელ ქალს არ ჰპყრობოდა, ბოლოჯერ 1997 წელს აღინიშნა — მაშინ მდედრიონის კენწეროში შვეიცარიელი ვუნდერგოგოცუნა მარტინა ჰინგისი და გამოცდილი ჩეხქალი იანა ნოვოტნა ყელყელაობდნენ.

ბელგიური სუპერწყვილის ესოდენი წარმატების წამურდვლას ჩოგბურთზე მწერალნი ერთ გარემოებაზე მითითებით ვცდილობთ:

საქმე ის არის, რომ აშშ-ის ამ პირველობაზე მათ შავდა უილიამსები, ფლეშინგ მედოუზის შეუცილებელი დედოფლები არ ეჯიბრებოდნენ. ერთმა მაკვარანცხმა მიმომხილველმა ძველი ქართული ანდაზის ამგვარი პერიფრაზიც კი შეთხზა — უუილიამსებო კორტზე ბელგიელები ყეფჩოგნაობენ.

სწორედ ამიტომვე იყო, ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ჟუსტინს უმალ შავდების თაობაზე რომ დაეკითხნენ. ჟუსტინმა ასე უპასუხა:

„ამ მომენტში მათზე საერთოდ არ ვფიქრობ... ისინი ამქარს დიდი ხნის განმავლობაში წინამძღოლობდნენ და ჰალალად უნდა ვთქვა — ორივე დიადი ჩემპიონია... სამწუხაროდ, ტრავმების გამო ვერც ერთმა მათგანმა ამ ტურნირზე გამოსვლა ვერ შეძლო. მათი არყოფნა მართლაც დიდი დანაკლისი იყო.“

ისე კი, სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ ჟუსტინმა და სერენამ წლეულს სამჯერ ითამაშეს და ამ სამიდან ორი სწორედ მისი გამარჯვებით დამთავრდა.

ეგეც არ იყოს, უიმბლდონის მერე უთამაშებელმა შავდებმა რეიტინგსიაში მეთაური ადგილების დაკარგვა უწინარესად თავიანთ თავს უნდა დააბრალონ, რაკიღა ერთობ ხალვათი განრიგის გამო წლეულს ძალზედ ცოტა ქულა დააგროვეს, მაშინ როცა კიმი და ჟუსტინი ტურნირიდან ტურნირზე გადაფრენას ძლივს ასწრებდნენ.

თავად განსაჯეთ: ნაუიმბლდონევს სერენას 6 ტურნირი დაუგროვდა, ვინუსს — 7, ხოლო ბელგიელთა „ანგარიშზე“ იმ მომენტისთვის უკვე 11-11 ტურნირი და 4-4 ტიტული იყო.

რაც შეეხება კაცთა ამქარს, აქ ერთი წლის განმავლობაში უკვე მესამე პირველოსანი დაწინაურდა — ლეიტონ ჰიუიტისა და ანდრე აგასის მიერ სვიანად ნაქნევი მთავარჩოგანი უბასრესმა ესპანელმა ხუან კარლოს ფერერომ გადაიბარა.



ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი ამერიკას მოერივნენ



ხუან კარლოს ფერერო

ენდი როდიკი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ

ფერერო 2003, 8 სექტემბერი
ჰიუიტი 2001, 19 ნოემბერი
კუერტენი 2000, 4 დეკემბერი
მარატ საფინი (რუსეთი) 2000, 20 ნოემბერი
პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 1999, 26 ივლისი
ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 1999, 3 მაისი
მოია 1999, 15 მარტი
მარსელო რიოსი (ჩილე) 1998, 30 მარტი
ტომას მუსტერი (ავსტრია) 1996, 12 თებერვალი
აგასი 1995, 10 აპრილი
პიტ სამპრასი (აშშ) 1993, 12 აპრილი
ჯიმ კურიე (აშშ) 1992, 10 თებერვალი
ბორის ბეკერი (გერმანია) 1991, 28 იანვარი
სტეფან ედბერგი (შვედეთი) 1990, 13 აგვისტო
მატს ვილანდერი (შვედეთი) 1988, 12 სექტემბერი
ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) 1983, 28 თებერვალი
ჯონ მაკინროი (აშშ) 1980, 3 მარტი
ბიორნ ბორგი (შვედეთი) 1977, 23 აგვისტო
ჯიმი კონორსი (აშშ) 1974, 29 ივლისი
ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია) 1974, 3 ივნისი
ილიე ნასტასე (რუმინეთი) 1973, 23 აგვისტო

ᲡᲚᲔᲛᲢᲘᲢᲣᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ

როდიკი	2003	აშშ-ის ღია პირველობა	1
ფედერერი	2003	უიმბლდონი	1
ფერერო	2003	საფრანგეთის ღია პირველობა	1
ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	2002	საფრანგეთის ღია პირველობა	1
ტომას იოჰანსონი (შვედეთი)	2002	ავსტრალიის ღია პირველობა	1
ჰიუიტი	2001	აშშ-ის ღია პირველობა	2
გორან ივანიშევიჩი (ხორვატია)	2001	უიმბლდონი	1
საფინი	2000	აშშ-ის ღია პირველობა	1
მოია	1998	საფრანგეთის ღია პირველობა	1
პეტრ კორდა (ჩეხეთი)	1998	ავსტრალიის ღია პირველობა	1
რაფტერი	1997	აშშ-ის ღია პირველობა	2
კუერტენი	1997	საფრანგეთის ღია პირველობა	3
რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	1996	უიმბლდონი	1
კაფელნიკოვი	1996	საფრანგეთის ღია პირველობა	2
მუსტერი	1995	საფრანგეთის ღია პირველობა	1
სერხი ბრუგერა (ესპანეთი)	1993	საფრანგეთის ღია პირველობა	2
აგასი	1992	უიმბლდონი	8
მიხაელ შტიხი (გერმანია)	1991	უიმბლდონი	1
კურიე	1991	საფრანგეთის ღია პირველობა	4
სამპრასი	1990	აშშ-ის ღია პირველობა	14
ანდრეს გომესი (ეკვადორი)	1990	საფრანგეთის ღია პირველობა	1
მაიკლ ჩანგი (აშშ)	1989	საფრანგეთის ღია პირველობა	1
პეტ კეში (ავსტრალია)	1988	უიმბლდონი	1
ბეკერი	1985	უიმბლდონი	6
ედბერგი	1985	ავსტრალიის ღია პირველობა	6
ლენდლი	1984	საფრანგეთის ღია პირველობა	8
იანიკ ნოა (საფრანგეთი)	1983	საფრანგეთის ღია პირველობა	1
ვილანდერი	1982	საფრანგეთის ღია პირველობა	7
იოჰან კრიკი (სამხრეთ აფრიკა)	1981	ავსტრალიის ღია პირველობა	2
ბრაიან ტიჩერი (აშშ)	1980	ავსტრალიის ღია პირველობა	1
მაკინროი	1979	აშშ-ის ღია პირველობა	7
ვიტას გერულაიტისი (აშშ)	1977	ავსტრალიის ღია პირველობა	1
გილერმო ვილასი (არგენტინა)	1977	საფრანგეთის ღია პირველობა	4
როსკო ტენერი (აშშ)	1977	ავსტრალიის ღია პირველობა	1
ადრიანო პანატა (იტალია)	1976	საფრანგეთის ღია პირველობა	1
მარკ ედმონდსონი (ავსტრალია)	1976	ავსტრალიის ღია პირველობა	1
მანუელ ორანტესი (ესპანეთი)	1975	აშშ-ის ღია პირველობა	1
ბორგი	1974	საფრანგეთის ღია პირველობა	11
კონორსი	1974	ავსტრალიის ღია პირველობა	8
ნასტასე	1972	აშშ-ის ღია პირველობა	2
ანდრეს ხიმენო (ესპანეთი)	1972	საფრანგეთის ღია პირველობა	1
სტან სმიტი (აშშ)	1971	აშშ-ის ღია პირველობა	2
ნიუკომბი	1970	უიმბლდონი	7
იან კოდეში (ჩეხოსლოვაკია)	1970	საფრანგეთის ღია პირველობა	3
არტურ ეში (აშშ)	1968	აშშ-ის ღია პირველობა	3
როდ ლეივერი (ავსტრალია)	1968	საფრანგეთის ღია პირველობა	11
კენ როზუოლი (ავსტრალია)	1968	საფრანგეთის ღია პირველობა	8

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲠᲑᲝᲚᲐ

1	(1)	როდიკი	807
2	(3)	ფერერო	714
3	(2)	ფედერერი	629
4	(5)	აგასი	605
5	(4)	კორეა	589
6	(6)	შუტლერი	477
7	(7)	მოია	398
8	(8)	ნალბანდიანი	358
9	(13)	ჰიუიტი	290
10	(9)	ფილიპუსისი	276
11	(22)	შალკენი	256
12	(10)	გროჟანი	255
12	(16)	შრიჩაფანი	255
14	(25)	ელ აინაუი	250
14	(11)	ფერკერკი	250
16	(12)	რობრედო	243
17	(14)	ფელიქს მანტია (ესპანეთი)	237
18	(15)	კუერტენი	236
19	(17)	კალიერი	231
20	(20)	ნოვაკი	226

12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

1	(3)	ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	4250
2	(4)	ენდი როდიკი (აშშ)	4165
3	(2)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	3825
4	(1)	ანდრე აგასი (აშშ)	3670
5	(5)	გილიერმო კორეა (არგენტინა)	3105
6	(7)	კარლოს მოია (ესპანეთი)	2685
7	(6)	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	2525
8	(8)	რაინერ შუტლერი (გერმანია)	2415
9	(13)	დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2145
10	(9)	სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი)	1850
11	(11)	პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი)	1845
12	(10)	ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	1720
13	(12)	სხენგ შალკენი (ჰოლანდია)	1515
14	(14)	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	1430
15	(16)	მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია)	1417
16	(20)	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	1380
17	(19)	აგუსტინ კალიერი (არგენტინა)	1345
18	(17)	ტომი რობრედო (ესპანეთი)	1300
19	(21)	იუნეს ელ აინაუი (მაროკო)	1260
20	(15)	ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1245

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

1	(1)	კიმ კლაისტერსი (ბელგია)	6589
2	(3)	ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია)	6259
3	(2)	სერენა უილიამსი (აშშ)	4955
4	(4)	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3577
5	(7)	ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2809
6	(5)	ვინუს უილიამსი (აშშ)	2508
7	(6)	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	2341
8	(10)	ანასტასია მისკინა (რუსეთი)	1996
9	(11)	ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1881
10	(8)	ჩანდა რუბინი (აშშ)	1866
11	(12)	მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი)	1685
12	(15)	აი სუგიამა (იაპონია)	1667
13	(13)	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	1625
14	(9)	დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1621
15	(19)	ნადია პეტროვა (რუსეთი)	1576
16	(14)	ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1563
17	(21)	მეგან შონესი (აშშ)	1499
18	(16)	ამანდა კუცერი (სამხრეთ აფრიკა)	1496
19	(25)	პაოლა სუარესი (არგენტინა)	1414
20	(17)	ანა პისტოლეზი (ისრაელი)	1394

პედანტები და უკან ქვა

ესტონელს ხუთი კილო შარი აჰკიდეს

ესტონელმა მრბოლმა მარკო მარტინმა და მისმა ინგლისელმა შტურმანმა მაიკლ პარკმა წინა, ფინური ეტაპის მოგებით სატურნირო ვითარება ისე საგრძნობლად გაიუმჯობესეს, რომ მშვენიერი საჩემპიონო შანსი გაუჩნდათ. მათი „ფორდი" ავსტრალიის წითელმიწა, ორლობის სიგანის გზებზეც ფავორიტთა შორის იყო, მაგრამ პოდიუმს ვინ ჩივის, სულაც უქულოდ დარჩნენ. მიზეზი სტიუარდების პედანტურობა გახლავთ: მათ მანქანაში ხუთკილოგრამიანი ქვა „აღმოაჩინეს", რომელიც ესტონურ-ბრიტანულმა ეკიპაჟმა სათადარიგო ბორბლის დასამაგრებლად გამოიყენა გაწყვეტილი ღვედების სანაცვლოდ. მაგრამ რაკი დებულებით ამგვარი „გარეშე ელემენტის" არსებობა დაუშვებელია, მარტინს დიკვალიფიკაცია არ ასცდა.

თავიდან დაწინაურდა მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი და შწვანე კონტინენტის შარშანდელი გამარჯვებული მარკუს გრონჰოლმი, მაგრამ პირველივე დღეს დაშვებული შეცდომის გამო უკვე ზედიზედ მეორედ გამოეთიშა ბრძოლას და ტიტულის შენარჩუნების იმედიც პრაქტიკულად გადაეწურა.

სამხრეთ ავსტრალიის საპორტო ქალაქ პერტის მიდამოებში სამდღიანი, 396-კილომეტრიანი ჯირითის გამარჯვებული უაღრესად დაძაბული ბრძოლის ბოლოს გამოვლინდა — ნორვეგიელმა პეტერ სოლბერგმა ბოლოსწინა ჩქაროსნული მონაკვეთის მოგებით ხელთ იგდო ლიდერობა და წლევანდელ სეზონში უკვე მეორედ გაიმარჯვა. 14-ეტაპიანი ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი რბოლით ადრე საჩემპიონო შანსს ოთხი ეკიპაჟი ინარჩუნებს. მომდევნო, იტალიური ეტაპი კი ოქტომბრის დამდეგს, საკურორტო-საფესტივალო სანრემოს მიდამოებში მოეწყობა.



პეტერ სოლბერგმა და მისმა „სუბარუმ" წლეულს მეორედ გაიმარჯვეს

რბოლის შედეგები

1	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	3სთ. 32.07,1
2	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	ჩამორჩა 26,6
3	რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო)	1.53,0
4	კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი)	2.30,7
5	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	2.37,2
6	ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ)	3.01,5
7	ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო)	4.03,9
8	ფრედი ლოაქსი (ბელგია, ჰიუნდაი)	7.00,7

საერთო ჩათვლა

1. რიჩარდ ბარნსი 55 ქულა; 2. პეტერ სოლბერგი 48; 3. კარლოს საინსი 48; 4. სებასტიენ ლოები 45; 5. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 38; 6. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 37; 7, კოლინ მაკრეი 33; 8. ტომი მაკინენი 21; 9. ჰარი როვანპერა 18; 10. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 11.

კონსტრუქტორთა თასი

პეჟო და სიტროენი 110-110 ქულა, სუბარუ 74, ფორდი 61, შკოდა 20, ჰიუნდაი 12.

პერესმა ერთი მოიგო და ოცს ტრაბახობს

ჰეტაპიმ ხი წაუბაფა

ესპანური ველოტური, იგივე ვუელტა, ველარ ეტოლსწორება დიდ მრავალდღიანებს — ტურ დე ფრანსსა და ჯიროს. აშკარაა, ვუელტა ამ ორის ჩრდილში მოექცა, თუმც ისე არ გაიგოთ, არიქა და, მთლად წყალწაღებულია. უბრალოდ, სად ტურ დე ფრანსი და სად ვუელტა. და მაინც ვუელტაზე ცოცხალ ლეგენდებს, მიგელ ინდურაინს და ლენს არმსტრონგს ურბოლიათ და სეზონის ბოლო რბოლა საკმაოდ პრესტიჟულ შეჯიბრად ითვლება.

კარგა ხანია, ვუელტა შიდაესპანურ რბოლად იქცა. მონაწილეთა უმეტესობა ესპანელია და ბოლო შეჯიბრებებსაც სულ მასპინძლები იგებენ. ვინძლო ეს ტრადიცია არც წლეულს დარღვეულ. ფავორიტებშიც პირინეელები სჭარბობენ და მომავალი გამარჯვებულიც ამათში უნდა ვეძებოთ. ისე კი, ვარაუდობენ, რომ წლევანდელ ვუელტაზე, რომელიც ამ უქმეებზე დაიწყო და 28 სექტემბრამდე გასტანს, ესპანელთა დამწუხრება გერმანელ ვეტერან ერიკ ცაბელს და იტალიელ ალესანდრო პეტაკის შეუძლიათ. მსოფლიოს ჩემპიონმა, დიდმა იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ კი ვუელტაზე რბოლა იუარა, რაკი ორგანიზატორებმა „სუპერმარიოს" მხოლოდ მეორე ეტაპის წინ დართეს რბოლის ნება, იტალიელმა კი ეს შეურაცხყოფად მიიღო და ესპანურ მთებს აღარ შეუყვა.

ჯერჯერობით ცაბელი და პეტაკი თამამად უტევენ ესპანელებს, მაგრამ სამი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლას მაინც ხუთი მასპინძელი უდგას სათავეში. თუმც შეჯიბრი ახლა ხურდება, წინ კიდევ 18 ეტაპია (სულ 2 925 კილომეტრი), რომლებზეც ყველაფერი შეიძლება მოხდეს.



REUTERS კანგასიდან

ლუის პერესი



REUTERS სანტანდერიდან

ალესანდრო პეტაკი

ჯერჯერობით გამოსარჩევი ალესანდრო პეტაკის რეკორდია. პეტაკიმ მოიგო მესამე ეტაპი და 1958 წლის შემდეგ პირველი შესწვდა თანამემამულე პიერინო ბაფის მიღწევას, რომელსაც ერთ სეზონში ჯიროს, ტურ დე ფრანსის და ვუელტას ეტაპები მოუგია. პეტაკის კი წლეულს სულ 20 მოგებული ეტაპი დაუგროვდა. „ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი რბოლა ჩემს კარიერაში. ბოლო კილომეტრები ძალიან გამიჭირდა, არც კი ვიცი, როგორ და სად ვიპოვე დამატებითი ძალები და როგორ გავასწარი პელოტონს. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ თუ ამ ეტაპს მოვიგებდი ბაფის რეკორდს გავიმეორებდი. თუ ტრაბახში არ ჩამითვლით, გეტყვით, დარწმუნებული ვიყავი, ახლა თუ ვერ მოვიგებდი, მომდევნო ეტაპის ბოლოს მაინც მე ვიქნებოდი პირველი" — განაცხადა 29 წლის პეტაკიმ, რომელმაც საფინიშო სპურტში მის ოდინდელ მეტოქე ერიკ ცაბელს აჯობა.

სხვაფრივ კი ჩიპოლინის არყოფნაში გაილაღეს „მთიელმა" მასპინძლებმა. პირველი ეტაპის შემდეგ, რომელიც გუნდური იყო, მეორე სამთო ეტაპი ხიხონიდან კანგისამდე 142 კილომეტრზე გაიჭიმა და ფინიშთან პირველი ერთბაშად 6 ესპანელი მივიდა.

ვარაუდობდნენ, რომ ამ ეტაპს ინჩადას ბასკი ფავორიტი აიტორ გონსალესი მოიგებდა, მაგრამ „ალპინისტად" წოდებულ გონსალესს რბოლის ბოლოს ველოს შეცვლა დასჭირდა, რამაც 20 წამი წაიღო და ლიდერობა დაკარგვინა.

მეორე ეტაპი კი „კოფიდისის" ლიდერმა ლუის პერესმა მოიგო, რომელმაც ფინიშთან წამის მეათედით მიასწრო თანამემამულე კარლოს სასტრეს. პერესი შარშან სამჯერ იყო ფინიშთან მეორე და ახლა, როცა როგორც იქნა, ეტაპი მოიგო, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ემოციები რომ განელდა, პერესმა ისიც თქვა, წლეულს ვუელტა ჩემიაო.

გია კუპრაძე

6 სექტემბერი. I ეტაპი

ხიხონი. 28 კმ

1 ონსე 32 წთ 01წმ
2 US პოსტალი + 10 წმ
3 იბანესტო + 24 წმ
4 კელმე + 45 წმ
5 ჟიქ სტეპი + 48 წმ

7 სექტემბერი. II ეტაპი

ხიხონი - კანგასი. 148 კმ

1 ლუის პერესი (ესპანეთი, კოფიდისი) 3 სთ 27 წთ 32 წმ
2 კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) იგივე დრო
3 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) + 14 წმ
4 მიგელ პერდიგუერო (ესპანეთი, დომინა ვაკანცე)
5 ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, ონსე ეროსი) ორივე იგივე დრო

8 სექტემბერი. III ეტაპი

კანგასი - სანტანდერი 154,3 კმ

1 ალესანდრო პეტაკი (გერმანია, ფასა ბორტოლო) 3სთ 24წთ 13წმ
2 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3 ტომ ბონენი (ბელგია, ჟიქ სტეპი)
4 ფულიან დინი (ახალი ზელანდია, CSC)
5 ჯოვანი ლომბარდი (იტალია, დომინა ვაკანცე) ყველა იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, ონსე ეროსკი) 7 სთ 24 წთ
2 იგორ გონსალეს გალდიანო (ესპანეთი, ონსე ეროსკი)
3 ისიდრო ნოზალი (ესპანეთი, ონსე ეროსკი)
4 მარკოს სერანო (ესპანეთი, ონსე ეროსკი) ყველა იგივე დრო
5 მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, US პოსტალი) +10 წმ

ᲓᲘᲐᲓᲔᲛ

აი, ვის ნახავდით ამერიკის ღია პირველობის ფინალის დღეს ფლუშინგ მედოუზის კორტზე: ბილი ჯინ კინგს (მარჯვნიდან), როდ ლეივერს, კრის ევერტს, ჯიმი კონორსს. დანარჩენებზე თავადაც შეგიძლიათ ფიქრი.

REUTERS ბლუმინგტონიდან

REUTERS ნიუ იორკიდან

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲔ

ინდიანაში, პატარა ქალაქ ბლუმინგტონში ჩამცელინგის ტაძრის წინ დაირგო მშვიდობის ხე. აქაურობა თავად დალაი ლამამ დალოცა, ტიბეტელთა სულიერმა წინამძღოლმა, რომელიც სამშობლოში ვერ ჩასულა ჩინელთა კომუნისტობის გამო. და იქ იყო მუსამუდ ალიც. ეს ორი გამორჩეული კაცი მართლაც საცქერია.

REUTERS ბანგუსიდან



ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲬᲘᲜ

სამხრეთ ამერიკაში გახურდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და ახალი წესის თანახმად, მასში მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელებიც მონაწილეობენ. პენტაკამპეონები ჩრდილოურ ქალაქ მანაუსში უმასპინძლებენ ეკვადორელებს, რომლებიც ამ ქალაქისკენ ხალისით მოფრინავენ. ნაკრების მწვრთნელი ერნან გომესი ჟურნალისტ მარიან საბატერს ელლაბუცება, მანაუსი კი სანაკრებო აჟიოტაჟში გამოხვეულა: ჟუნიორ დე სოუზა პირდაპირ ზურგებზე არიგებს ავტოგრაფებს, კაფუს კი დრო უპოვია და ზოოპარკში პანტერას ელაპარაკება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა ვიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge